

# უმთა რუსთაველი

(სურათით)

1172 — 1216

სულ მნათო, მაღლი უენს სახელს,  
დიდუა ერსა უენს მშობელს,  
და ძეგლიად სამარადისოდ,  
ნეტარ ხსენება ამ სოფელს!

უენ ნიშნად უკვდავებისა  
ერს მოვლენილსარ განგებით,  
ვით ცის-სარტყელა წარღვნისა,  
უცნაურისა ჳანგებით!

ბ. ბ.

ზ. შაფშინჯელისა.

გამოცემული

კონსტანტინე ი. მესხიჯიძისა.

თბილისი 1884,

სტამბა ან. ვაღანდიაძისა დამს. ლ.-მედიკოვსკის ქ. მესხიჯის შენ.

გარდაცემულია

Handwritten notes and a circular stamp in the bottom right corner.



1172

# შოთა რუსთაველი

1172 — 1216

30582

სულ-მნათო, მადლი შენს სახელს,  
დიდება ექსა შენს მშობელს,  
და ძეგლად სამარადისოდ,  
ნეტარ ხსენება ამ სოფელს!

შენ ნიშნად უკვდავებისა  
ექს მოკლენილხარ ტანგებით,  
ვით ცის-სარტყელა წარღვნისა,  
უცნაურისა ჭანგებით!

აკაკი.

ზ. მთაწმინდელისა.

გამოცემული

კონსტანტინე ი. მესხიევისაგან.



არ. კალანდაძის სტამბა, და ამხ. ლ. ქუჩაზე მესხიევის შენობაში.

Дозволено цензурою въ Тифлисъ, 22 Августа 1884 г.

11. 20



შოთა რუსთაველი.

Лит. К. Мехиера в Тифлисе.

უმთავრესი ისტორიული წყაროები შოთა რუსთაველზე და  
მის „ვეფხისტყაოსანზე“

- 1, ქართლის ცხოვრება, პირ. ნაწილი, გამოც. 1852 წ.
- 2, საქართველოს ისტორია, თეიმურაზ მეფის, გაზ. 1848 წ.
- 3, ბრძანის წინასიტყვაობა, ჩუბინოვის ლექსიკონზე 1848 წ.
- 4, ბრძანის წინასიტყვაობა, „ვეფხისტყაოსნის“ 1840 წ.
- 5, ტომთა მთავარ ეპისკოპოსის მოგზაურობა, გამოც. 1852 წ.
- 6, ყურნალ „ცისკარი“ 1867 წ.
- 7, ვახტანგ ლომთხინცვის წინასიტყვაობა, პოლშუკს ენაზე 1870 წ.
- 8, საქართველოს ისტორია, დამ. ჯანაშვილისა, 1875 წ.
- 9, გაზ. „დროება“ 1881 წ.
- 10, ქართველი ქალები, დამ. ჯანაშვილისა, „ივერია“ 1883 წ.
- 11, პეტრე უმიკაშვილის სტატია, „ივერია“ 1884 წ.
- 12, აკაკის ლექსები, ჯერეთ დაუბეჭდავია.
- 13, საქართველოს საეკლესიო ისტორიის ფურცლები, შედგენ. XVII საუკ. ანსენ ბერისაგან, ხელთ ნაწერი.
- 14, ტარასი არხიმანდრიტის ცნობები, ქვათა ხევის მონასტრის „წიგნთ საცავში“ ანს დაცუდა.
- 15, ვახტანგ მეფის წინასიტყვაობა, გამოცემული 1713 წ. ქ. თფილისს.
- 16, თეიმურაზ მეფის ლექსები და სხვათა ძველთა მწერალთა.
- 17, დავით ბატონიშვილისაგან დატოვებული ცნობანი, ხელთ ნაწერი.
- 18, წეობილი სიტყვაობა, ანტონ კათალიკოზისა, გამოც. 1852 წ.
- 19, პლატონ იოსელიანის შენიშვნები რუსთაველზე.
- 20, ქართული ქრესტომატია, ნაწი. პირ. გამოც 1848 წ.
- 21, როსტომიანი, (შაჰნამე) თარგმნილი ხოსრო თურმანიძესი, XVII საუკ.
- 22, ბაგრატ ბატონიშვილის ლექსები, დაწერილი XVII საუკ.
- 23, კალმასობის წინასიტყვაობა დ. ბაქრაძისა 1862 წ.

- 24, Ходъ науки въ Грузіи («Сѣверная пчела» 1840 г.)
- 25, Краткій взглядъ на грузинскую литературу (Тиф. вѣд. за 1832 г.)
- 26, Грузинская литература. Броссе (сынъ отчества за 1840 г.)
- 27, Памятники письменности въ Грузіи (Кавказъ за 1849 г.)
- 28, Закавказскій вѣстникъ за 1850 г.
- 29, „Кавказъ“ за 1846 г.
- 30, „Кавказъ“ за 1870 г.
- 31, Древняя Месхія, Бакрадзе. „Кавказъ“ 1855 г.
- 32, Путешествія отъ Тиф. до Мцхеты за 1871 г. Пл. Юсселани.
- 33, Взглядъ на грузинскую литературу Броссе въ (жур. мин. нар. просвѣщенія за 1838 г.)
- 34, Исторія, Грузіи Головина за 1865 г.
- 35, Грузія, изданіе 1802 г. Александро-Невской Академіи
- 36, Исторія Грузіи, царевича Давида, изд. 1801 г.
- 37, О Руставели ст. Р. Эристовъ. „Кавказъ“.
- 38, О Руставели ст. Г. Юсселани. „Кавказъ“.
- 39, Лекціи Гулака о Руставели.
- 40, Объ Историческихъ и этнографическихъ отношеніяхъ города Тифлиса, Бакрадзе, 1873 г.
- 38, ვახუშტის კავშირის, კამარე. 1848 წ.
- 39, შოთა რუსთაველი. პლატონი იოსელიანი.

## შოთა რუსთაველი.

შოთა რუსთაველისაგან დაწერილი „მეფხის-ტყაოსანი“ დღეს მთელ ქართველობას თავის ლიტერატურის მთიებად მიაჩნია. ამ შესანიშნავი და დაუფასებელი თხზულების სიტყვა-პასუხსა და კილოს მკითხველი ისეთს ეშხზე და აღტაცებაში მოჰყავს, რომ მას ათას ნაირი ჰანგები დაუტრიალდება ხოლმე მთელს არსებაში. შინც-კი იმას ერთხელ წაიკითხავს, იმავე დროს ის უთუოდ მეორეთა და მესამეთაც გადაფურცლავს. ამ წიგნის სინარჩარესა და ტურფად წყობილ ლექსებს ბევრ მაშვრალ კაცისათვის მოუღბენია, ბევრის ტვირთ-მძიმე და მრავალ-გზის ტანჯული კაცისთვის ცრემლი მოუწმენდია და, როგორც ბრძანა პოეტმა, ბევრის ილაჯ გაწყვეტილის კაცისთვისაც სამარის კარამდის უნუგეშებია. „მეფხის-ტყაოსანი“, არის სიმდიდრე ქართველის ერის ჭკუა-გონებისა, ამ წიგნის არსებობამ მტკიცედ დაიცვა და შეინახა ის მდიდარი ენა, რომლითაც მის დამწერის დროის ქართველნი სწავლობდნენ და საუბრობდნენ, მეთორმეტე საუკუნეში. მისმა დამწერმა მთელ ერს მისცა და აჩუქა თავის სახსოვრად საუკუნო გვაროვნობითი სიმდიდრე, რომელიც ქართველ ერისაგან მიღებულია და დაუფასებელ განძად აღიარებულა. დასაწყისიდანვე ქართველობის ერთს ნაწილს დიდს სასახელოდ მიაჩნდა ეს თხზულება. შემდეგ და შემდეგ, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვრცელდებოდა იგი და მისი ძვირფასი მნიშვნელობაც საყურადღებოდ ჰხდებოდა. ხალხიც შედიოდა მის ღრმა შინაარსის გამოკვლევაში, რომლისაგანაც



მრავალნი გაცემულნი შთებოდნენ და აღტაცებით საესენი გადასცემდნენ ხოლმე სხვა და სხვა ჰერსა «მეფხის-ტყაოხნის» მაღალს მნიშვნელობას.

საუკუნოები საუკუნოებს მისდევდა და «მეფხის-ტყაოხანი» უფრო იფინებოდა, აგერ დღესაც ის ჩვენ წინ ძევს. კიდევ ახალი გამოცემა. ეს თვალ-მარგალიტი თხზულება ყოფილა, არის და იქმნება უკედავი ქმნილება, ვიდრე დედა-მიწის ზურგზე ქართული სიტყვიერება იცოცხლებს! მართველთა გულსა და სულს მოაღხენს და დიდ მგრძნობელობასაც აღუძრავს, ეს ხომ დღესაც ასრეა და ყოველს ქართველს სწორედ ასრევე მიაჩნია. დღესაც რომ კითხვა იყოს სადმე აღძრული ქართული მწერლობის სიმდიდრის შესახებ «მეფხის-ტყაოხნის» გარდა ჩვენ სხვას ვერას დავინახავთ. დღესაც თუ თქმულა მეროპაში, მხოლოდ ამ კლასიკური თხზულების გამო, და ამისთანა ქმნილების შემქნელი კაცის შესახებ რომ ცნობები არ გვქონდეს, ეს კი ცოტა რალაც გულ-გრილობაში უნდა მივიღოთ. მართალია თითო-ოროლა ნაბეჭდი ცნობები არის დარჩენილი, მაგრამ იმის მომეტებული ნაწილი მხოლოდ ხელთ ნაწერობით არს დაცული და რამდენიმეც დაბეჭდილია, დაბეჭდილი ცნობანი თითქმის რომ სულ ერთი და იგივია, მხოლოდ სხვა და სხვა მწერალთაგან თავისებურათ გადააკეთებული.

ამ რამდენიმე წლის წინად, მე შევეუდექი შოთა რუსთაველის ცხოვრებაზე ცნობების შეკრებასა და გაცნობასა. ამ უკანასკნელს დროს ცნობათა რიცხვი იქამდის ავიდა, რომ აშკარად დაერწმუნდით, რომ მით შესაძლებელი იქნებოდა მისი ცხოვრების აღწერა.

„ვინ იყო ისა და რა იყო მისი სახელი,  
ის იყო შოთა, დიდი შოთა, რუსთაველი“

ვ. ორბელიანი,

ძართული მწერლობის მნათობი ვარსკვლავი და მე-  
ლექსეობის მამათ მთავარი შოთა რუსთაველი თამარ მე-  
ფის დროს სცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნეში. ამ სა-  
განს ამტკიცებენ თვით შოთა რუსთაველის ბრწყინვალე  
„მეფის ტყაოსნის“ წინა-სიტყვაობა და საქართველოს  
ისტორიკოსნი: ბროსე, ბაქრაძე, ჭარათაშვილი, იოსელიანი  
და სხვანი.

შოთა რუსთაველი დაიბადა ახალ-ციხის მახლობლივ  
მდებარე სოფელს რუსთავეში, რომელ სოფლის მხარესაც  
ძველად სამეცხეთოს უწოდებდნენ. ამ ქვეყნის სახელის გამო  
თვით შოთა რუსთაველიც თავის თავზე ამბობს: „და ეს-  
წერამ მესხი ვინმე მელექსე, მე რუსთავეისა დაბისა“.  
მაგრამ ზოგიერთნი ჰუიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი  
სამეცხეთოს სოფელს რუსთავეილამ კი არ იყოფო, არამედ  
თბილისის მარჯვენა მხრით მდებარის დაბა რუსთავეილამო,  
რომელ დაბასაც ერთ დროს ქალაქადაც უწოდებდნენო.  
ამავე ქალაქს ბოსტან ქალაქადაც ჰხადიან. ამას იხსენებს  
მახუშტიც. ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ჯანა არ შეიძლე-  
ბოდაო, რომ შოთა რუსთაველი თემით მესხი ყოფილიყო და  
მცხოვრები ქალაქ რუსთავეშიო, ამის დასამტკიცებელ საბუ-

თად შოთა რუსთაველზე დარჩენილს ლეგენდის შინაარსში მოყვანილს ცნობას უჩვენებენ. აქ არის მოხსენებული, რომ შოთა რუსთაველი თბილისში სცხოვრებდაო, მაგრამ ყველა ამ პირთა მოხსენებათა წინაღმდეგი თვით „მეფხის ტყაოსნილამხე“ მტკიცდება: ჩემის აზრით რუსთაველი იყო თემით მესხი. რაისა გამო თვითაც განმარტავს „და ვსწერ ვინმე მესხი შელექსე, მე რუსთავისა დაბისა“, ამ სტრიქონილამ აშკარად მტკიცდება რომ, შოთა რუსთაველი სამესხეთოს რუსთავილამ იყო. აქ ჩვენგან მოხსენებულ ცნობებს ბევრი სხვა და სხვა ცნობებიც ეთანხმებიან, როგორც ისტორიული, აგრეთვე მოთხრობითი, ზეპირ-გადმოცემითი და სხვანი. მაგალითად: ბაგრატ ბატონი-შვილი სწერს, რომ შოთა რუსთაველი სამესხეთოს რუსთავიდან იყოვო, და რუსთავი განაშენა თამარ მეფემო. ეს მოხსენებულია თვით ბაგრატ ბატონიშვილისაგან დაწერილს ქრონიკაში, რომელშიაც აღწერილია შესანიშნავი შემთხვევანი საქართველოს მეფეთა და ერისა. ამავე ჰაზრს ლექსად განმარტავს ხოსრო თურმანიძე სპარსულილამ ნათარგმნს „როსტომიანში“. აქ მოხსენებულია რამდენიმე ტაეპი გაბაასებითა შესახებ ორის მელექსისა. პირველი ადგილი შოთა რუსთაველს უკავია და ერთ ალაგას პასუხად სწერს: „რას მამერჩი ბერი-ბერსა, მე გავლექსე ლამაზ ენა, აშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშენა. შენ ტყუილად შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა, და თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა“. ამ ლექსის დაწერა ასე 1640-1653 უნდა ყოფილიყოს. მოხსენებულია, რომ თუმცა „მეფხის ტყაოსნის“ დაწერაში ფასი არ მიბოძაო, მაგრამ მის ნაცვლად თამარ მეფემ რუსთავი ამიშენაო. ბაგრატ ბატონიშვილის

ცნობას ჩვენ თუ სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ ამ ლექსში მოხსენებული ცნობაც უეჭვოდ უნდა დარჩეს, ეს მით უფრო, რდგანაც ხოსრო ოსმანძეს „როსტომიანში“ მოხსენებულს რუსთაველის მოპასუხეთ ბაგრატ ბატონიშვილი გამოჰყავს. ამავე საგანს უეჭვოთ ეთნახმება საქართველოს ისტორიის მწერალი თეიმურაზ ბატონიშვილი.

საქართველოს ისტორიის მწერალთა დამტკიცებით შოთა რუსთველი დაბადებულია დაბა რუსთავეში. დაბადების წელი არა სჩანს; ზემორე აღნიშნულნი რიცხვნი კი მოყვანილია ერთს ძველს ხელთ ნაწერში; საიდანაც გარდაუღიათ და მოფენილა კიდევ. ეს რიცხვი არის 1172—1216 წლამდის. ამ ცნობებიდან უხელმძღვანელებიანთ; როგორც იოსელიანს, აგრეთვე ბროსეს, ჩუბინოვს, ბაქრაძეს და სხვათაცა. შოთა რუსთველის მშობლების ვინაობაზე ერთი ძველი წერილი მოგვითხრობს, რომ შოთა რუსთველის მამა რუსთავეის მთავარი იყო. ამ საგანს მღვდელი დიმიტრი ჯანაშიელიც ამტკიცებს და სწერს, რომ შოთა რუსთველის მამა თამარ მეფის ამირ-სპასალარი იყო. ეს დასკვნა ამ უკანასკნელს „მეფის ტყაოსნის“ შესავალიდან გამოჰყავს, სადაც მოხსენებულია იგავ სიტყვაობით, რომ „ავთანდილ იყო სპასპეტი ძე ამირ-სპასალარისა“.

შოთა რუსთაველი აღზრდილა თავის სამშობლო სოფელს თუ დაბა რუსთავეში. აღზრდის შემდეგ იგი მიუბარებიათ ტბეთის მონასტრის ბერებისთვის, სადაც იმას წიგნის სწავლა დაუწყებია. ეს ჰაზრი და ცნობა არაეის ჰქონია გამოკვლეული. შემდეგ ტბეთის მონასტრიდან ის გადმოუყვანიათ ძახეთში, ქალაქ ბრემს, სადაც დარჩენილა სასწავლო პალატში. მოგვითხრობენ, რომ ამავე დროს

შოთა რუსთველთან ერთად გადმოიყვანეს სასწავლებლად  
მრბელიშვილი. შოთა რუსთველი თავის ბიძამ, ბერმა  
გადმოიყვანა. იმ დროს შოთა რუსთაველი თორმეტი წლი-  
სა ყოფილა, მრბელი-შვილი კი თერთმეტისა. მრბელი-  
შვილსა და რუსთველს თურმე ერთი ბერი ზრდიდა. შოთა  
რუსთველი ბრემის პალატაში ხუთი წელიწადი დარჩენილა,  
თექვსმეტი წლისა ყოფილა, რომ ბრემიდან იყალთოს სას-  
წავლებელში მიუცია იმავე ბერს, რომელსაც სამცხიდან  
ძახეთში გადმოიყვანია. იყალთოს სასწავლებლიდან შემდ-  
გომ ათინას გამგზავრებულა, და სწავლა განათლების მი-  
ღების შემდგომ შოთა რუსთველი 22 წლისა დაბრუნდა  
საქართველოში. ეს ცნობები დაბეჭდილია 1881 წ.  
„ღროებაში“. მათი ავტორი სწერს, რომ ეს მოთხრობა  
პ. იოსელიანმა წაიღო და დაბეჭდას აპირებდა, მაგ-  
რამ არ დაბეჭდა და თვით მოთხრობაც მას აქეთ დაიკარგა.  
მოგეყავს ეს ზემორე ცნობები და თუ რამდენად მართალი  
არიან და ჭეშმარიტნი, ამის შესახებ ჩვენ არას ვიტყვი და-  
ბეჯითებით. მგონებთ კი, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ ცნო-  
ბებს არ აქვთ მტკიცე ისტორიული სიმართლე. როგორა-  
თაც ტბეთის მონასტერში, აგრეთვე ბრემში და იყალთო-  
ში ყოფნა რუსთაველისა ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია. მიგვაჩნია  
მით უფრო, რადგანაც ყველა ესენი ზეპირ გადმოცემითა  
არის და არა ისტორიულ მწერლობით. ამას გარდა, ძალიან  
საეჭვოა, რომ სამცხედამ ყმაწვილები ქართლ-ძახეთში  
გადმოიყვანათ. სამესხეთო ძველადგანვე უფრო მაღლა  
იდგა წერა-კითხვით. ამას საქართველოს ისტორიაც  
ამტკიცებს. ზოგი ერთნი იმასაც ამბობენ რომ შოთა  
რუსთველი საქართველოს მეფეთა სახლში აღიზარდა, ეს

შენიშვნა მოხსენებულობა ერთ ხელთ ნაწერს წიგნის ბოლოში. დამწერი, მოიხსენებს რომ შოთა რუსთაველი მეფეთა სახლშივე განვითარდა და აღიზარდაო. ამ ცნობათ თანახმადვე განმარტავს მ. ვახტ. მრბელიანიც. ის ამბობს, რუსთაველი ობოლი იყო, ტომით მესხი, სოფელს რუსთაველამაო, რომლის გვარი შემდეგ რუსთაველად გადაკეთდაო. ეს ამბავი ვახტანგ მრბელიანს თავის დედის მეკლე ბატონიშვილისაგან შეუტყუია. მეკლე ბატონიშვილი მეფის ირაკლის ქალი იყო. ამას უამბნია, რომ შოთა რუსთაველის შესახებ ეს ამბავი ძველადგანვე იყო დაშთენილი საქართველოს მეფეთა ოჯახშიო. ეს ცნობა შეიძლება, რომ მართალიც აყოს. მაგრამ, რაკი ესეც ზეპირ გადმოცემითი ცნობაა და არა ისტორიული, ამიტომ არც ეს უნდა იყოს მთლად დასაჯერი. ამა ცნობათა გარდა არ ვიცით აგრეთვე ისიც, თუ შოთა რუსთაველს სახელად რა ერქვა. ჩვენ ფიქრობთ, რომ არც შოთა და არც „რუსთაველი“ ნამდვილს მის სახელს არ წარმოადგენენ. ჩვენის ფიქრით ეს სახელი მეტი სახელი უნდა იყოს. მაგალათად: როგორც იოვინე შავთელს ერის კაცობაში აბლულ მესიარქმევია და ბერობაში შესვლის შემდეგ კი იოვანე, ეს ჩვეულება ძველთა მწერალთა ჩვეულებათ ჰქონიათ. მერ ვნახავთ ვერც ერთს ძველს მწერალს, რომ იმას მეტი სახელი არ ჰქონდეს. საქართველოს შემოკლებული ისტორიის დამწერი ბოლოვინი სწერს, რომ შოთა რუსთაველს იოვანე ერქვაო. ჩვენ არ ვიცით, თუ ბოლოვინმა საიდან ამოჩხრიკა ეს სახელი. აგერ ჩვენს წინ აწყვიტ თითქმის ყველა ის წიგნები, სადაც-კი რუსთაველს შეეხებია და არსად მოხსენებულებული არ არის, რომ რუსთაველს იოვანე ერქვაო. ჩვენ

ფიქრობთ, რომ ეს პირ-დაპირ ბ. ბოლოვიჩის ფანტაზია უნდა იყოს. ჩვენის ჰაზრით, მგონი რომ შავთელის სახელი მას რუსთაველის სახელი ეგონა, რადგანაც შავთელის სახელი „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია. ერთი ძველი ლექსი მოგვითხრობს, რომ ვეფხვის ტყაოსნის დაწერს „შოთა“ მისთვის უწოდეს, რომ ის მალხო მალალი კაცი იყო, აწოწვილი შოთივითაო. ამ ლექსის დაწერის სახელი არა სჩანს და როგორც შევამცნიეთ ეს ლექსი მეთვრამეტის საუკუნის დასაწყის უნდა იყოს გადაწერილი. თვითან რუსთაველი თავის სახელს ისე იხსენიებს „ვეფხის ტყაოსანში“, როგორც ჩვენ ვუწოდებთ: „რუსთაველი“, „შოთა“ კი იქარ არის ნახსენები. ცხადი საქმეა, რომ, როგორც შოთა, ეგრეთვე რუსთაველი, ვეფხვის ტყაოსანის“ ავტორის პირველი სახელი არ არის. თუმცა, მართალია ერთ ალაგას „ვეფხის ტყაოსნის“ წინასიტყვაობაში სწერია, რომ მე რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამად, არი. მაგრამ ამ სტრიქონიდან ორ ნაირი ჰაზრი გამოიკვევა, ერთი: „მე რუსთაველი“ მოაწაფებს, რომ „რუსთაველობა“ ხელობა ყოფილა, რომელიც შოთას სჭერია; მეორე ჰაზრი-კი იმას მოასწაფებს, რომ მე რუსთაველსა რა ხელობაცა მაქვს, იმ ხელობის საქმესაც ვაკეთებო, ესე იგი იმას, რაც ხელთა მაქვს, ანუ ხელიდამ გამომიფაო, თუნდა მეღექსეობა, გინა ლექსების წერა. ბერათ აღკვეცის შემდეგ მისთვის ვითამც კუპრა შოთა უწოდებიათ. კუპრა მოხსენებულია რუსუდანის მეფობის ისტორიაში. ამ სახელის სინამდვილეს შარსადან ბორგიჯანიძისაგან დაწერილი ისტორიაც ამტკიცებს. იქ მოხსენებულია, რომ შოთაც რუსთაველი რუსუდან დედოფლისაგან წარგზავნი-

ლი იყო ელჩად მათარ ხანთადმიო, მაგრამ იმავე ისტორიის  
ქვეით შოთათ სხვა პირი იგულისხმება. ასე, რომ ამ სახელებთ  
შემდეგ დღესაც არ ვიცით ნამდვილათა, შოთა რუსთაველს  
ნამდვილ სახელად რა ერქვა. ამის ასახსნელათა და გამო-  
სარკვევათ ჩვენ შოთა რუსთაველის სურათი გვქონდა  
სახეში, რადგანაც სურათი დახატულია იერუსალიმის ჯვა-  
რის მონასტერში, სადაც სახელიც უნდა ყოფილიყოს მი-  
წერილი, მაგრამ ჯერ აქამდის არც ერთს მოგზაურს არ  
აუწერია ის და არ გარდმოუცია, თუმცა აგერ მეთვრამეტე  
საუკუნიდან დაწყებული ხშირათ მოგზაურებდენ ხოლმე  
ქართველ მოგზაურნი და ხშირათაც აღგვიწერენ ხოლმე  
იქაურ მონასტრებთ და განსაკუთრებით ქარხველთა მონა-  
სტერთ, შოთა რუსთაველის შესახებ იოსელიანი სწერს:  
„შოთა რუსთაველი იყო მესხი, ანუ მესხეთელი, რომელი  
სახელ წოდებაც ცნობილია თვით უძველესთ მეისტორიე-  
თა წიგნებში, მაგალითად: როგორც ტაციტისა, პოტლო-  
მეისა, პლინისა, ძლავიოში და სტრაბონისა. იოსელიანი  
არ საზღვრავს თუ შოთა რუსთაველი სად სწავლობდა პირ-  
ველ ხანებში, მეორე თავის წერილში იმასაც მოგვითხრობს,  
რომ შოთა რუსთაველი მესხეთშივე აღიზარდაო. სჩანს იო-  
სელიანს ზემორე მოყვანილი ცნობა სარწმუნოთ არ მიუ-  
ღია, რომელიც „ღროებიდან“ მოვიყვანეთ და სადაც  
ნათქვამია, რომ ეს ცნობები იოსელიანმა წაიღოვო.



## რუსთაველი საბერძნეთში.

მეათე საუკუნის ნახევრიდამ ანუ ღვეთ კურატ-პალატის მეფობიდამ საქართველოს და ბერძნების მეფეთა შორის დამყარდა მტკიცე მეგობრული კავშირი. ამ შეკავშირების დედა - ბოძადა და საფუძვლათ გახდა ერთი და იგივე სარწმუნოება და საბერძნეთის სამღვდელო პირთ პოლიტიკური მოქმედება, რომელიც ბერძენთა მეფეთა და კურატ-პალატის შორის აღორძინდა. ამ გვარმა დაახლოებამ საქართველოს ერზე ისე იმოქმედა, რომ იმ დროს, ყოველს ქართველს კაცს სანატრელად მიაჩნდა ბერათ შემდგარიყო და წასულიყო საბერძნეთს, ათონის მთაზე სწავლის მისაღებათ. ამგვარის მიზეზების გამო, მეათე საუკუნის დასასრულსავე ქართველთა გარდასწყვიტეს საბერძნეთში მონასტრების გაკეთება. იოვანე ათონელის შემწეობით მართლაც დაარსდა კიდევ ივერიის მონასტერი. ზანიდქვა ეს მონასტერი და ყოველს წელიწადს მიემგზავრებოდა იქ ქართველი ყმაწვილ კაცობა. მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისს ამავე მონასტერში დაარსეს ქართული სასწავლებელი. მეთერთმეტე საუკუნის გამოჩენილს ბერ-მონაზონს ზიორგი მთაწმინდელს დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს მეფეზე და მას ყოველს წლობით ქართველი ყმაწვილებიც მიჰყვანდა ივერიის მონასტრის სასწავლებელში. „მართლის ცხოვრებიდამ“ დაწყებული, ვიდრე უკანასკნელს მეისტორიემდის ერთხმად და თანახმად მოგვითხრობენ, რომ მეთერთმეტე საუკუნეში ღვეთ აღმაშენებელმა წესად დაადგინა, რომ საქართველოდამ ყოველს წლობით სამოცი ყმაწვილი შეგროვილი-

ყო და ათონს სწავლის მისაღებად წასულიყვნენო. ამ სავანს სომხის უძველესი მეისტორიენიც, აქეშმარიტებენ და აგრეთვე ბროსე, ბაქრაძე, იოსელიანი და სხვანი. სხვა და სხვა ისტორიულის წერილების მეოხებითა და ჩვენებით უწყებულთა, რომ შოთა რუსთაველიც, უეჭველია ერთი იმ ყმაწვილთაგანი უნდა იყოსო, რომელიც ყოველს წლოვბით მიემგზავრებოდენ საქართველოდამაო. თვით ბიორგი მთაწმინდელმაც ერთს წელიწადს 80 ყმაწვილი თვითონ წაიყვანა იქ. ბიორგი მთაწმინდელის შემდეგ კიდევ მიჰყავდათ იქ ყმაწვილები თუ არა ეს არ ვიცით.

ღავით აღმაშენებელის ბრძანებისამებრ ყმაწვილების გაგზავნის შესახებ სამი ცნობა გვაქვს და ამანებს აქვე მოვიყვანთ, რადგანაც შესაძლებელია, რომ ამ გამგზავრებათა ცნობებში რამე კავშირი ჰქონდეს რუსთაველის ცხოვრებათა ცნობებს. მართი ცნობა შეეხება 1148 წ. ამ წელს გამგზავრებულან რამდენიმე ყმაწვილნი და იმათ შორის მეთაურათ საბა სინგელი ყოფილა. მეორე შეეხება 1159 წ. მეთაურად სტეფანე ქართველი ყოფილა. მესამე ცნობა შეეხება 1160 წ. მეფის დიმიტრის დროს. მეფე დიმიტრი ბერათ აღიკვეცა და მის გამო დამიანე უწოდეს. საბერნეთი ნახა, წმინდა ადგილები, შემდგომ დაბრუნდა და მიიქცა ღავით ბარესჯის უდაბნოში, სადაც აღსრულდა და დაკრძალული იქმნა მამათა სავანეშიო. ბარდა ამისა მიემგზავრებოდენ ხოლმე თითო თუ ორ ორი სასულიერო პირები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემორე მოყვანილს წლებში რუსთაველის გამგზავრება არ მოხდებოდა, რადგანაც ამ რიცხვებში რუსთაველი იქმნება დაბადებულს არ იყო და თუ იქმნებოდა, მაინც არც იმ წლოვანებაში იქმნებოდა,

რომ ის ამ წლებში საბერძნეთში წასულიყოს. ღვით აღ-  
მაშენებელის შემდეგ დროებში რამდენიმეჯერ მომხდარა  
კიდევ ყმაწვილების გაგზავნა, შესაძლებელია, რომ შოთა  
რუსთაველი შემდეგ იყოს წასული. ზემოდ მოყვანილს  
ცნობებს თუ სარწმუნოდ მივიღებთ მაშინ იმ ცნობების  
მეოხებით ჩვენ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ შოთა რუს-  
ველი ზიორგი III მეფის დროს უნდა გამგზავრებულიყოს  
საბერძნეთში ივერიის მონასტრის სასწავლებელში. ასე,  
რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით შოთა რუსთველი რომელს  
წელიწადს წავიდა საქართველოდამ საბერძნეთში. საქართვე-  
ლოს ისტორიის მწერალნი ერთ ხმად კი ამტკიცებენ, რომ  
შოთა რუსთველი საბერძნეთში სწავლობდაო. ზანმარტვენ,  
რომ პირველს ხანებში რუსთველი ათონის მთის ივერიის  
მონასტერში იყოვო. ეს მტკიცდება ერთის ხელნაწერის  
ისტორიულის წიგნიდამ, სადაც დამწერი მოგვითხრობს, რომ  
საქართველოს შეილთათვის საბერძნეთში მკვიდრ ბინად  
ივერიის მონასტერი იყოვო. მინც-კი წავიდლოდა საქართვე-  
ლოდამაო, მლოცველი ბერი, მღვდელი, თუ მოსწავლე  
ყველანი პირველად ივერიის მონასტერში უნდა მისული-  
ყოვო და იქ უნდა ჩამომხტარიყო. არც ერთი ქარ-  
თველი არ წავიდოდა საქართველოდამ, რომ იმას ათონის  
ივერიის მონასტერში არ მიმოველო და არ ელოცნაო! აქედამ  
წამსვლელთ პირთ სამეფო წერილი ეძლეოდათო, რომელ  
ზედაც კათალიკოზიც ხელს აწერდაო; მოწმობა ქართულათ  
იწერებოდაო; ამ მოწმობით ქართველი მოგზაური ივერიის  
მონასტერში მიახწევდაო. იქ ეს წერილი წინამძღვარს უნდა  
ენახა და შემდეგ მის, ანაღს იქაური წინამძღვარი დაუწერ-  
და ბერძნულს ენაზე, სადაც ცალ-კერძ საქართველოს პატ-

რიაჩხი ბეჭედს დაასომდაო და მეორეს მხრით საბერძნეთის იმპერატორისას. „შეკველია, რომ შოთა რუსთველიც პირველ ხანებში ივერიის მონასტრის სასწავლებელში იქმნებოდაო, იქ გაიკვეთამდა სეეკლესიო სწავლათა, ბერძნულსა და ლათინურს ენებს და ამ ენებზე შედგენილი საეკლესიო წიგნებთაცა, რომელთა მეოხებითაცა და საშუალებით უნდა აღმოსცენებულიყოსო უკვდავი შოთა რუსთველის მაღალი ნიჭიერება და ხელოვნება“.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის მწერალნი დაბეჯითებით და დაჭეშმარიტებით მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთაველი ათინაში სწავლობდაო. ამა მენისტორიეთა გარდმოცემით და ჩვენებით შოთა რუსთაველი ათინაში კარგა ხანს დარჩენილა. შემდეგ განვითარებისა და დახელოვნებისა იგი შესულა ბქაურს ფილოსოფოსთა სკოლაში, სადაც განვითარებულა, როგორათაც ელინურს და ლათინურს ენებში, ეგრეთვე ფილოსოფოსთა წიგნებში და მჭევრმეტყველობაში. ამას **თემურაზ** მეფეც ამტკიცებს. „შოთა რუსთაველი ათინურს ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა მაღალს სასწავლებელში სწავლობდა“, ამბობს ის. ამასვე ამტკიცებენ: მეთვრამეტე საუკუნის მეღექსე **ონანა** კახის მდივანი; **ვახტანგ** მეფე, **ბაქარი**, **თეიმურაზი**, **ბაგრატი** და **ღავითი**. ამათს თანხმადვე განმარტავს **ბროსე**, **ბაქრაძე**, **ნოსელიანი**, **თეიმურაზ** ბატონიშვილი და **მრავალნიც** სხვანი. აქ ჩამოთვლილ პირთ ცნობათა ერთობ ეთანხმება და ნათელს ჰფენს ერთი ძველი მწერლობის ცნობაცა, სადაც მოხსენებულია, რომ „შოთა რუსთაველი მისრული საბერძნეთად გამოეცხადა ივერიის მონასტრის წინამძღვარსა და თავი თვისი აღიარა მის მფარველობის ქვე-

შა<sup>4</sup>. შემორე მოხსენებულთ ცნობათა გარდა, საქართველოს მეისტორიენი უეჭვოთ და დამტკიცებით მოგვითხრობენ იმასაც, რომ შოთა რუსთაველი, როდესაც საკმარისად განვითარდა და განათლდაო, შემდეგ დაბრუნდა საქართველოშიო. დაბრუნების დრო და წელი გამოურკვეველია და არც არა ძველის წიგნებიდამ სჩანს. ბანმარტებულია მხოლოდ ის, რომ შოთა რუსთაველი მალალის გოებით სავსე და ღრმად მსწავლული დაბრუნდა საქართველოში. ამ საგანს ერთ ხმად ამტკიცებენ და ერთი ძველი მელექსეც სწერს, რომ „რუსთაველის ცალი პიიტკოსი ჩვენში არაინ ყოფილაო. ეს პიიტკოსობა მას საბერძნეთის ფილოსოფოსთაგან შეუსწავლია და შემდეგ მის დაბრუნებულას საქართველოში მალალითა სათნოებითა სავსე, ბრძენი, რიტორი, ენა წყლიანი, ფილოსოფოსი, ღრმად გამომეტყუვი, სიტყვა მქუხი, ფილოსოფიასა შინა უაღრესობით განსწავლული, რაისა გამო ბრძენმა და რიტორმა მეფე თეიმურაზ პირველმაც განმარტა, რომ რუსთაველი სიბრძნის ტბა არისო, რომელსა ენა რიტორი უნდა ვუწოდლოთო“. ამ ცნობაშიაც იგივეა განმარტული, რომ შოთა რუსთაველი მალალის გონიერებით და ფილოსოფიის სწავლით სავსე საბერძნეთიდან მოვიდა საქართველოშიო. ჩვენ ვეცადეთ და რაც კი რამ ცნობები იყო შოთა რუსთაველის შესახებ შემოვიტანეთ აქ, ეს ცნობები ზოგი აქამდის დაუბეჭდავია შით და ზოგნი-კი დაბეჭდილი. ამ ცნობებით ცოტათ თუ ბევრად გამოირკვევა მცირე რამ ჰაზრი რუსთაველის შესახებ, მაგრამ ნათლად მაინც არა სჩანს, თუ შოთა რუსთაველი თავის მოგზაურობის დროს სად, რამდენ წელიწადს დარჩა, როგორათაც ივერიის მონასტრის სასწავლებელში,

აგრეთვე ათინურს ფილოსოფოსთა სკოლაში, ან სხვაგან სად-  
მე და ანუ საბერძნეთიდან როდის დაბრუნდა საქართველოში.  
მოიხსენებენ რომ „შოთა რუსთაველი კარგა ხანს უნ-  
და ყოფილიყოს საბერძნეთში. ამ შესანიშნავ კაცზე დიად  
დიდი გავლენა ჰქონდა საბერძნეთის ფილოსოფოსთა,  
ღვთის-მეტყველთა და სხვათა მისთანა სწავლათა“ განმარტავს  
პრჩილ მეფე თავის ლექსებში. ეს ცხადი საქმეა, რად-  
განაც ამისთანა ძალასა, და ნიჭს როგორიც რუსთაველმა  
გამოაჩინა „მეფხის ტყაოსანში“ ყოვლად შეუძლებელია,  
რომ ის ნიჭი ერთს ან ორ წალიწადში გასწრთენიყოს და  
განვითარებოდეს. შოთა რუსთაველის შესახებ იმასაც მო-  
გვითხრობენ, რომ საბერძნეთში ყოფნის დროს ბერძნული  
და ლათინური ენების გარდა სპარსული და არაბულიც  
შეისწავლაო. ამ ენებს გარდა მწერლობაც დაახლოვებით  
გაიცნოვო, და როგორათაც საბერძნეთის უძველესი დრო-  
ის მწერლებთ ნაწერების გაცნობა, აგრეთვე ამათზე არა  
ნაკლებ სპარსული და არაბული მწერლობაცო. ამ ენებსა  
და მწერლობას დიდად დაახლოვებია შოთა რუსთაველი და  
ღრმათაც შეუსწავლიაო. ზოგი ერთი ძველი მეისტორიენი  
იმასაც მოგვითხრობენ, „რომ შოთა რუსთაველმა საბერ-  
ძნეთში სწავლის დროს მარტო მლინური და ლათინური  
ენები შეისწავლაო და აგრეთვე მათივე მწერლობაო. სპარ-  
სულსა და არაბულს ენებსა და მწერლობას იმ დროებში  
საბერძნეთში ისეთი მაღალი ადგილი არ ეკავა, რომ სა-  
სწავლებლებშიაც შესასწავლებლათ შეტანილი ჰქონიყოთ“.  
მაშასადამე რუსთაველისაგან საბერძნეთში სპარს არაბულ  
ენებისა და მწერლობის შესწავლა ყოვლად შეუძლე-  
ბელს საგანს წარმოადგენს. ამის დასამტკიცებელ საბუთად

იმასაც ჰხმარობენ, რომ საბერძნეთის საეკლესიო მსწავ-  
ლულთა და ღვთის მეტყველთა არად ეპიტნავებოდათ მაჰმა-  
დიანთ ენა და მწერლობაო და რაც უნდა მაღალის ღირ-  
სებისა საგანი ყოფილიყო სპარსულს და არაბულს ენებზე, იმას  
მაინც ბერძნულს ენაზე ასწავლიდნენ. ამ საგანს მტკიცე  
ბეჭედს ის პირნი ასმენ, რომელნიც ჰფიქრობენ დარწმუ-  
ნებით, რომ შოთა რუსთაველი საბერძნეთის საეკლესიო  
მსწავლულთა და ღვთის-მეტყველთა სწავლისა და გავლენ-  
ის ქვეშ აღიზარდაო, და არა საერო ფილოსოფოსთ მწერ-  
ლებისაო. ზოგიერთნი იმასაც დაჭეშმარიტებით აღი-  
არებენ, რომ შოთა რუსთაველს არაბული, სპარსული ენები  
და მწერლობა საქართველოში უნდა შეესწავლაო; უფრო  
შესაძლებელიც არისო, რომ ამ ხალხთა მწერლობაც აქ-  
ვე გავცნოვო, რადგანაც ამა ხალხებთა ენასა და მწერლო-  
ბას თვით შახტანგ ბორგ-ასლანის დროდამვე მიეცა მსვლე-  
ლობა და წარმატებაში შესვლაო. საქართველოს ისტორიის  
ძველნი მწერალნიც რალაცნაირ მიუნდობლათა და უპატიუ-  
რობათ სთვლიდნენ სპარსული ენის შესწავლასა და თი-  
თქმის ეკლესიის წინამღღებათაც. მეორე მწერლის ჰაზ-  
რით, შოთა რუსთაველს საბერძნეთში თითქმის ყოველ ნაი-  
რი მეცნიერება შეუსწავლია. მართს ძველს ხელ-ნაწერს  
„მეფხის ტყაოსნის“ ბოლოზე მიწერილია ერთს უცნობ  
კაცისაგან შემდეგი: „წიგნსა ამასა, რომელსა ეწოდების  
„მეფხის ტყაოსანი“ დაუწერია შოთა რუსთაველს, შოთა დიდი  
გვარის კაცის შვილი ყოფილა, საბერძნეთში წასულა, იქ  
აღზრდილა ივერიის მონასტერში და ბერძენთა ათინურს  
სასწავლებელშიაცა, სადაცა მოუსმენია ფილოსოფია, ღვ-  
თის მეტყველება, კათელორია, შეუსწავლია ღვით უძლე-

ველის წიგნები, ქართველის ფილოსოფოსის იოანე პატე-  
რიწისაგან“.

„პეტრიწი ესე აღიზარდა რომსა შინა პატერიწებთა  
სასწავლო სახლში, რაისაგამო მას პატერიწიც უწოდეს,  
ამა სამეცნიერო წიგნთა გარდა შოთა რუსთაველს საბერ-  
ძნეთშივე შეუსწავლია ბერძნული ენა, ლათინური, სპარ-  
სული, არაბული, ურული და სხვანიც მრავალნი“. ამ  
ცნობებთ გარდა ჩვენ სხვა ცნობები არა გვაქვს რა შოთა  
რუსთაველის პირვანდელის სწავლა განათლების შესახებ. იო-  
სელიანი განმარტავს, რომ „ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ  
შოთა რუსთაველი ათინაში სწავლობდა და იცოდა სპარსუ-  
ლი და არაბული ენები“ განმარტავს მეორე მწერალი,  
საიდამაც იოსელიანსაც უხელმძღვანებია, „შოთა რუსთაველი  
ათინელთ ფილოსოფოსეთან სწავლობდა, სადაც შეისწა-  
ვლა მრავალი ენები: ბერძნული, ლათინური, სპარსული,  
არაბული და სხვანი“. არსად და არავინ სიტყვას არ ახსე-  
ნებს იმის შესახებ, თუ შოთა რუსთაველმა ქართული სად-  
ღა შეისწავლა. მართნი ამტკიცებენ, რომ ძველს დროება-  
ში, საბერძნეთის ზოგიერთს სასწავლებელში ქართულს ენას  
ასწავლიდნენო; მეორეები კი სულ წინაღობდეგ ჰაზრს მოგვი-  
თხრობენ. ასე რომ, თუ პირველთ დავერწმუნეთ, მაშინ ის  
უნდა აღვიაროთ, რომ რუსთაველი ქართულს ენასაც სა-  
ბერძნეთში შეისწავლიდა და თუ მეორე მივიღეთ შესაწ-  
ყნარებლათ, მაშინ კი ის უნდა ვიფიქროთ, რომ შოთა რუს-  
თაველს ქართული ენის შესწავლა მარტო ივერიის მონა-  
სტრის სასწავლებელში უნდა მიეღო და არა ათინურს  
ფილოსოფოსთა სკოლაში.



მეთორმეტე საუკუნეში, **თამარ** მეფის დროს, საქართველოს აღმოუბრწყინდა მის განმადიდებელი და მნათობ ვარსკლავი **შოთა რუსთაველი**. ამ გვარის ნათელ მოსილი, გონება განცხოვლებულის და განსვეტაკებულის კაცის შესახებ მხოლოდ ის სჩანს, რომ **შოთა რუსთაველი** **თამარ** მეფის მეჭურჭლეთ უხუცესად იყოფო, ესე იგი მოლარეთ უხუცესი, ანუ ხაზინადარი (მინისტერი ფინანსთა). ამ საგანს თითქმის უეჭვოთ განმარტვენ ყველა ის მეისტორიენი ვისაც-კი რამე დაუწერია საქართველოს ისტორიის შესახებ და განსაკუთრებით **შოთა რუსთაველის** შესახებ. ამ პირთა ცნობებს ქვემოთ სათითაფოთ მოვიყვანთ და ვუჩვენებთ მკითხველს, თუ ვის რა სარწმუნო ცნობები აქვს მიღებული და ან ვინ უფრო დაქვემდებარებით რას მოგვითხრობს. ზემოთ მოხსენებულს ცნობებს ჩვენ თუ სარწმუნოთ დავინახავთ, რომ **შოთა რუსთაველი** **თამარ** მეფის მეჭურჭლეთ უხუცესათ იყოფო. მაშინ **ჯანაშვილისაგან** იგავ-სიტყვაობით ახსნა უმნიშვნელოთ დარჩება, სადაც მოხსენებულია, რომ, „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ სპასალარია“ სპასპეტი ნიშნავს (სპარსულია) მხედართ-მთავარს, ამირ-სპასალარი, მხედართ მთავარზე უფროსს. ეს საგანი ასევე აიხსნებოდა ძველათ და დღესაც ასევე ჰხსნიან. მეჭურჭლეთ უხუცესი-კი ნიშნავს ხაზინადარს სამეფოსი, საეკლესიოთა, ლაშქართა და სხვათა. **ჯანაშვილის** ცნობას ჩვენ მტკიცე ბეჭედს არ ვხსოვთ, რადგანაც მისი გარდმოცემა იგავ-სიტ-

ყვაობათა ახსნას შეეხება, მაგრამ თუ „მეფის ტყაოსნის“  
შინაარსის შესახებ-კი ჩვენ სარწმუნოთ გვექმნება ის,  
რომ შოთა რუსთველის „მეფის ტყაოსნის“ შინაარსი  
შეთანახმებით არს დაწერილი იმ დროის საქართველოს  
ისტორიისა, მაშინ, მაშასადამე, ისიც უეჭვოდ უნდა მი-  
ვიღოთ, რომ შოთა რუსთაველი სპასვეტათაც არ ყოფი-  
ლიყოს, სამუდამოთ თუ არა, დროებით მაინცა და შემდეგ  
მეჭურჭლეთ უხუცესობაც მიეღოს. საქართველოს მეისტო-  
რიებს ამგვარი შენიშვნებით საშინლათ არეულ-დარეუ-  
ლები აქვს. მრთი მოგვითხრობს, რომ შოთა რუსთველი  
თამარ მეფის სპასვეტი იყო, მეორე სწერს, რომ მეჭურ-  
ჭლეთ უხუცესი, მესამე სწერს, რომ სახლთ-უხუცესიო,  
მეოთხე სწერს, რომ ამირ-სპასალარი და ვინ იცის რამდენი  
კიდევ სხვა და სხვა თანამდებობაშიაც არ აღიარებენ. ამ  
პირთა, ხელთ სამძღვანოთ შეიძლებოდა, რომ რუსთაველის  
დროისა და დროის თანამდებობა მიეღოთ და ისევე გარდ-  
მოეცათ, მაგალითად: ერთს იმ თანამდებობით გამოეხატა,  
როცა რუსთაველი პირველ დროებაში ერთს თანამდებო-  
ბაზე იყო, მეორეს გამოეხატა შემდეგი დროის თანამდე-  
ბობით, როცა იმას სხვათა ნამდებობა ჰქონდა. აქ განმარ-  
ტულ ცნობების გარდმოცემით ჩვენ ვფიქრობთ, რომ შო-  
თა რუსთველი სამეფო მსახურებშიაც უნდა ყოფილიყოს.  
მართალია ზოგიერთა ცნობები გვარწმუნებენ, რომ შოთა  
რუსთველი სამეფო სამსახურშიაც იყო; მაგრამ სინამდვი-  
ლით ამ ცნობებზე ჩვენ არა ვიცით რა. იყო შოთა რუსთვე-  
ლი სამეფო სამსახურში თუ არა? ამის საფუძველად-კი  
რომ იყო, თეიმურაზ ბატონიშვილის დაბეჯითებითი  
ბეჭედი აქვს დასმული. ეს ცნობ თეიმურაზ ბატონიშვილის

შარსადან ზორგიჯანისაგან შედგენილს საქართველოს ისტორიიდან გამოუკრეფია. ამ ისტორიის ერთი ნაწილი დაბეჭდილია, მაგრამ დაბეჭდილი სხვა დროს შეეხება; ესევე უეჭვოთ მიუღია ბროსეს, ჩუბინოვს, იოსელიანს და სხვათაც მრავალთა. ამის დასამტკიცებლად ჩვენ არა ფერი გვაქვს და ცოტა არ იყოს საეჭოთაც მიგვაჩნია; უფრო დ. ჯანაშვილის ცნობებია მისაღები, რომელიც თავის მოსაზრებით ჰხსნის, რომ შოთა რუსთველი სპასპეტათ უნდა ყოფილიყო. ზემორე მოხსენებულთ ცნობათა უმტკიცებობას ისიც გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველის შესახებ **თამარ** მეფის დროის ისტორიაში სრულიად არაფერია მოხსენებული. ნუთუ იმ დროის ისტორიკოს ისე უნდა დაეწეროს იმ დროის საქართველოს ისტორია, რომ სამეფო პირთა და მეფეთა ამბავთა აღწერაში იმისთანა პირი, როგორიც რუსთაველი უნდა ყოფილიყოს, ამაზე სიტყვაც არ ეთქოს, ეს ყოვლად საეჭვოა, რადგანაც **თამარ** მეფის ისტორიაში, ამის დროის არამც თუ მოლარეთ უხუცესის, სპასპეტის და გინა მეჭურჭლეთ უხუცესის სახელთ აქვსთ ადგილები, არამედ ამაზე უფრო ბევრათ მდებალთ თანამდებობის პირთაცა. მაშასადამე ყოვლათ შეუძლებელია, რომ ესეთი მაღალი თანამდებობის პირზე, როგორიც რუსთაველს ჰხადიან, მის თანამედროვე მეისტორიეს გვერდზე აველო და ხმა არ ამოელო.

შოთა რუსთველის ასე უცნობლობის გამო „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ ერთობ გაკვირვებულნი ვართ და ამ გამოუკრეველობის გამო ორ ნაირი ჰაზრი გვებადება, პირველი: სჩანს, რუსთაველი სამეფო სამსახურში არა ყოფილა, რაისა გამო არც ისტორიაში მოუხსენებიათ მისი

სახელი, თორემ ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა, რომ გამოეტოვებინათ. მეორე ის, რომ იქმნება იყო კიდევ, მაგრამ მაშინდელმა შეურიგებელმა გარემოებამა, ანგარებით სავსე უმაღლეს სამეფო პირებმა და სხვებმა თავიანთის ქიშპობით ისე იმოქმედეს მასზე, რომ რუსთაველი არამც თუ დევნიტ, სახელითაც კი გამოსდევნეს ისტორიამა. ეს დამტკიცდება ქვემოთ, სადაც შევხებით მაშინდელს სამეფო უმაღლესთ პირთ გამგეობასა და მწერალთა დევნასა. სამწუხაროა კემმარიტათ, რომ აქამდისინ ჩვენი მეისტორიენი სრულებით არ შეეხნენ ამ საგანსა და არც ერთ მათგანმა არ გამოარკვია ეს. იმ დროს, როდესაც ჩვენთა მეფეთა ქებით და მუხანათთა შეილებთა ცამდის აყვანითა და სხვა ამისთანებით სავსეა ჩვენი მწერლობა! მე მგონია, რომ სულ არც ისე უმანკოები იქმნებოდნენ ისინი, რომ მათ წინაშე მამულისა რამე ცოდვები და შეცდომები არა ჰქონოდესთ. მგონი არც ის უნდა იყოს დასაძრახისი და საგმობელი, თუ ვინმემ მოსაზრების თვალით შეხედა ჩვენს წარსულს, საგმობელი თავის შესაფერი ცნობებით გამოხატა და საქები კიდევ ისე. აი ამ გვარის გამოურკვევობლის მეოხებით წარმოსტქვა ბ. ნანიეშილმა, რომ ქართველთა მეფეთა დროის ქართველ მწერლების დევნა ჯერჯერობით გამოურკვეველია, დაუმტკიცებელია და ამიტომ ჩვენც ცოტა არ იყოს საეჭვოთ მიგვაჩნიაო. მაგრამ რა უსტქვათ იმისთანა კაცზე რომელმაც ბრ. შიფშიძის უნიჭო მოთხრობა, სახელდობრ „სამი დღე თოვლ ქვეშ“ ცამდის აიყვანა „დროებაში“.

ჩვენგან ზემორე მოხსენებულთ ცნობათა გარდა ზოგიერთნი იმასაც მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთა-

ველი თვით ქალაქ რუსთავის მთავრათ იყოფო, ეს ბეჭვდი-  
თაც არს გამოთქმული და ამათ შორის **თეიმურაზ** მეფე.  
უეჭვოთ აღიარებს და შემდეგ თვითვე განმარტებით სხო-  
ლიოს უმატებს: „რუსთავი, ქალაქი ჰერეთისა მამული არის.  
ესე იგი გარე ძახეთისა, ტფილისიდამ მტკვრის გაღმა და  
შორავს ექვსითა მილითა. შუინ ამ ქალაქსა ეწოდა ბოასტან  
ქალაქი, ხოლო აწ დარღვეულ არს და უხმობენ ნაგებებსა“  
ამ სხოლიოს მიხედვით აშკარად მტკიცდება ის შემ-  
ცდარი აზრი, რომელიც ჩვენ ზემორე განვმარტეთ. ზოგი  
ერთნი იმასაც უწყიან, რომ რუსთავის მთავრათ შოთა  
რუსთაველის მამა იყოფო და არა თვითონ შოთაო. ამ  
ცნობებს **თეიმურაზის** ცნობები კო ერთობ ეწინაღმდეგე-  
ბიან. მაგალითად იმ ადგილას, საილამაც ჩვენც მოვიყვანეთ  
რამდენიმე ცნობები, **თეიმურაზი** აი როგორ განმარტავს:  
„შემდგომად დიდისა მის მეფისა **თამარისა**, შოთა რუსთავე-  
ლი, რომელიცა იყო მთავარი ქალაქის რუსთავასა და  
**თამარ** მეფის მეჭურჭლეთ უხუცესი იყო ე. ი. მოლარეთ  
უხუცესი, ხაზინადარი. იყო იგი კაცი განსწავლული და  
ყოველითა კეთილზნობითა, სრული ფილოსოფოსი და  
უსწორი პიიტეკოსი“. ეს კაი და დაპატიოსანი, **თეიმურაზის**  
სიტყვით შოთა რუსთაველი მთავარი ყოფილა რუსთავის  
ქალაქისა, ეს ცნობა ძალიან ეთანახმება იმ პირთა ცნობა-  
თა, რომელნიც ჰგონებდნენ, რომ შოთა რუსთაველი ჰე-  
რეთის ქალაქ რუსთავის მთავრათ იყოფო. იგივე **თეიმურაზი**  
შემდეგ უმატებს კიდევ უფრო საეჭვო ცნობებს მაგალითად:  
„რომელიმე მეისტორიენი სწერენ ჩვენნი, იყოო შოთა ად-  
გილისგან მისგან, სადა უკვე სდისო ბუნებითი წყარო მე-  
ლანისა. შოთა რუსთავის ქალაქსა შინავე არს შობილი და

მთავარიცა მისივე ქალაქისა, რომელიცა მახლობელ არს აღგილისა მას, სადაცა აღმოდინან კუპრნი და ესე ვითარნი არიან ნიეთთა მათ შორის, რომელნიცა იხმარებიან მელნად და უმჯობეს ყოველთა მელანთა არს ესე“. ამ უენიშენაში მოიხსენებს, რომ „რომელიმე მესტორიენი სწერენო“ ეს უენიშენა უარსადან ბორგიჯანიძის ისტორიას შეეხება. ამ უკანასკნელს ცნობაში მოხსენებული სიტყვებითაც ერთობ ეთანხმება იმ პირთა გარდმოცემათა, რომელნიც რუსთველის ბინათ ჰერეთის რუსთავს ჰხადიან. ამის დასამტკიცებლად მათ ის უნდა ჰქონდეთ მიღებული, რადგანაც მოხსენებულია, რომ რუსთავის მახლობლივ აღმოდინან კუპრნი და ესე ვითარი წყალნიო. ამის საბუთად იმასაც ჰხმარობდენ, რომ ჰერეთის ქალაქ რუსთავისაკენაც ამოდის ამ გვარი წყალნიო და სხვათა შორის ნავთიციო, რომლისა გამო ამა ქალაქის აქეთა მხარეს „ნავთლუხიც“ უწოდესო. შექველია ეს სახელი თავის შესაფერის გამომხატველობის თანხმად დაერქმეოდაო. ამის დასამტკიცებლად ზოგი ერთნი სიტყვითაც ამტკიცებენ, თუმცა ვახუშტიც მოგვითხრობს თავის გეოგრაფიაში ამ გვართ ბუნებითი წყალთა აღმოდენას ახალ-ციხის რუსთავის მახლობლათ. მოხსენებულის ცნობების მეოხებით ცოტათი არეულ-დარეულია, მაგრამ ჩვენ მაინც მტკიცეთ ვადგევართ იმასა, რომ შოთა რუსთაველი ახალციხის მახლობლის ღაბა რუსთავიდამ იყო და არა ჰერეთის ქალაქის რუსთავიდამ, ამას ხომ თვითონ რუსთაველიც ამტკიცებს. ამა ამბებთა გარდა ჩვენ არა ვიცით რა ნამდვილათ რუსთაველის სამეფო მსახურებაზე, მის ხმაზე, გავლენაზე და შემძლებლობაზე, არა ვიცით რა და არცა რას ჩვენი

ისტორია გარდმოგვცემს, რაისა გამო ისევ შარსადან ბორგიჯანიძეს ისტორიაზე ვარდება საქმე, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დღეს არც ეს ისტორიაა აღვილათ მოსაპოვებელი. როგორც ვიცით, ამ ისტორიის ერთი ეგზემპლარი დაკულია და ისიც პეტერბურგშია გადატანილი, ქართველთა თავდადებულთა ბაგრატიანთაგან. ჩვენთაგანი ამ წიგნს ოცში ერთიც ვერ ნახავს. მეორეც არც სრულათ არის დაბეჭდილი და რაც არის ისიც ერთი ბეწოა, რამდენიმე წელთა ამბავნია, რომელნიც „ქართლის ცხოვრებას“ ჰკლებია და მით შეუესიათ.

მაშ, ჩვენ ისევ იქილამ უნდა ვიხელომდგანელოთ რაცკი ხელში გვაქვს. ჩუბინოვი მოგვითხრობს შემდეგს რუსთაველის შესახებ: „შოთა რუსთაველი სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეს, დროსა მამარ-მეფის და იყო ამ მეფისა მოლარეთ უხუცესი. შემდგომ მამარ-დედოფლისა შოთა რუსთაველი იყო წარგზავნილი ელჩად მეფის რუსუდანისაგან თათართა ხანთადმი, ვითარცა მოიხსენებს საქართველოც ისტორიაში შარსადან ბორგიჯანიძე“. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ შოთა რუსთაველი შემდგომ მამარ-მეფისა (ე. ი. მისი სიკვდილისა) რუსუდან დედოფლისაგან ელჩათ ყოფილა წარგზავნილი თათართ ხანთადმი. ამ ცნობებს ჩვენ თუ სარწმუნოდ მივიღებთ და დავერწმუნებით, როგორათაც ბიორგიჯანიძის ისტორიას, აგრეთვე ჩუბინოვს, ბროსსეს და სხვებს, რომ რუსთაველი თათართ ხანთადმი გაგზავნა რუსუდან დედოფალმაო, მაშასადამე ისეთ გამოჩენილ კაცს, როგორიც იქნებოდა რუსუდანისაგან წარგზავნილი სამეფო ელჩი შოთა რუსთაველი, უეჭველია რომ ამისთანა მალალ თანამდებობის აღმასრულებელ კაცის

სახელისთვის თანამედროვე სამეფო ისტორიაში ადგილი უნდა მიეცათ. მაშ, ბორგიჯანიძის და სხვათაგან გარდმოცემულის ცნობების აღსადგენათ და დასარწმუნებლათ, თუ იგი რამდენად მართალია, ამის ასახსნელად ჩვენ გვრჩება რუსუდან ღედოფლის ისტორიის გაცნობა და თუ იქ ვერას ვნახავთ ამ გვარს, მაშინ ბორგიჯანიძე ბროსე და ჩუბინოვითურთ გამტყუნდებიან და აქაც დავრჩებით ისევე ცარიელნი, როგორათაც **თამარ მეფის** დროის რუსთველის სამეფო თანამდებობაზე და მოქმედებაზე. ბორგიჯანიძის ცნობების უთანხმოებაზე და **შოთა** რუსთველის შესახებ შეუმოწმობლობაზე წგანმარტეს ზოგიერთა, რომ კუპრა **შოთას** ცნობების შემოწმება ძალიან ძნელიაო, რადგანაც ეს ჩვენგან მოხსენებულ **შოთა** სამის მეფის მეფობას უნდა მოსწრებიყო, მაგალითად: **თამარის**, **ლამაზიორის** და შემდგომ ამის რუსუდან ღედოფლის. ეს ხანი ერთობ დიდხნათ გამოდის, მაგრამ ჩვენ მაინც გარდაწყვეტით არას ვიტყვი. ჩვენ ვადავშინჯეთ რუსუდან ღედოფლის ისტორია და იქ მოვიპოვეთ მოხსენებული ვილაც „**კუპრა შოთა**“ ეს სახელი მოხსენებულია იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია რუსუდან ღედოფლის სამეფო პირთ სახელები. ეს სახელ-წოდება „**კუპრა შოთა**“ ანუ „**შოთა კუპრი**“ მოხსენებულია რამდენიმე ალაგასა და ყოველგან ისეთი კაცებთ გვერდზე უკავია ადგილი, მაგალით. როგორნიც იყვნენ, **სარგის** **თმოგველი**, **მარამ** **ზაგელი**, **თორელი** და სხვა ამისთანა გამოჩენილნი სამეფო პირნი, მაგრამ უფრო **თამარის** მეფობის შემდეგი დროის პირნი. შარსადან ბორგიჯანიძის ცნობას ერთობ ეთანხმება „**ქართლის ცხოვრების**“ ცნობათ, მაგალ. ჩუბინოვი მოიხსენ



ნებს, რომ ზორგიჯანიძის მოხსენებით შოთა რუსთაველი შემდგომ თამარ მეფისა რუსუდან დედოფლისაგან მათარხანთან ელჩათ იყო გაგზავნილიო. სწორეთ ამ გვარს საგანს „ქართლის ცხოვრებაც“ განმარტავს: „და გარდმოვიდა თვით მეფე და წარგზავნა ძე თვისი, რომელთა წინა მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი მათართა დიდად შეეწყნარა შოთა კუპრი, თორელი და ვარამ“ ამ შენიშვნების მეოხებითა და გორგიჯანიძისაგან დაწერილის ისტორიის ცნობებით ჩვენ ვფიქრობდით, რომ ვითომც კუპრა შოთა „მეფხის ტყაოსნის დამწერის შოთა რუსთაველი უნდა იყოს. ცნობებით აშკარათ მტკიცდება, რომ შოთა რუსთაველს თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ რუსუდან დედოფლის დროის სამეფო მსახურებაშიაც მიუღია მონაწილეობა, ამას ფიქრი არ მოუწდება, თუ ზორგიჯანიძეს ცნობებს სარწმუნოთ მივიღეთ. ახლა ერთ საკითხავ კითხვათ და საეჭვოთ ისიც შეთება, რომ შოთა რუსთაველისთვის „კუპრა“ რალათ უნდა მიემატებინათ! ჯერეთ ისიც ცხადია, რომ შოთა რუსთაველიც მის მეტი სახელია და არა ნამდვილი. ნუ თუ ორის მეტის სახელის მქონე კაცის ცხოვრებას მესამეც გამოეწვიოს. ამის ასახსნელად და გასარკვეველად ჩვენ გვჩიება შემდეგ ნაირი ახსნაო: „შოთა რუსთაველი, როცა ერის კაცობაში იყო, მას უწოდნენ თავის ნათლობის სახელს, მეტს სახელად-კი „შოთას“. ასპარეზე გასვლის შემდეგ და მწერლობაში მონაწილეობის მიღების დროს თვითონ დაირქვა რუსთაველი, შემდეგ ეს ორი სახელი შეერთდა და გამოვიდა „შოთა - რუსთაველი“; ბერად აღკვეცის შემდეგ კი, როდესაც ის მონასტერში გაემგზავრა და დამკვირდა ჯვარის მონასტერში,

მაშინ იმას ერის კაცობაში დარქმეული მეტი სახელი აღარ ეკადრებოდა, ამიტომ მას ძალიან ადვილად შეეძლებოდა, რომ თავის ადგილ მდებარის სახელი შეეცვალა და მის ნაცვლად სხვა ეწოდებინა. მართლაცა და როგორც ზოგნი ჰფიქრობდნენ, რუსთაველის მაგიერ სიტყვა „კუპრა“ მოიხმარა და მაშინ გამოვიდა „კუპრა შოთა“ როგორათაც შავით მოსილს ბერს, ძალიან ადვილად მოუფიქროდა ის, რომ თავის თავისთვი კუპრა ეწოდებინა. სამეფო საქმეებში მონაწილეობის მიღების დროსაც უეჭველია, რომ ბერობაში მიღებულს სახელს არ შეუცვლიდნენ და არ დაარქმევდნენ ახლად. ეს თუნდ, რომ მოეწადინა ვისმეს, როგორც სულიერი პირის წინაშე გაბედვითაც ვერ გაუბედამდნენ, მაშასადამე ისიც უეჭვოდ უნდა გვწამდეს, რომ ამ სახელს იმ დროის მეისტორიენიც სწორეთ ისე შეიტანდნენ, როგორც უწოდებდნენ მასო. ამას უეჭველად გვაბედინებს ისიცო, რომ, რუსუდანის მეფობაში მხოლოდ ერთად ერთი კუპრა შოთა სჩანს. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია, რომ კუპრა შოთა ჰერელი იყო, სიშავისა გამო მას კუპრა უწოდესო, ეს გარდმოცემა ჩვენ მივიღეთ, რადგანაც ზორგიჯანიძეც მოწმობს. იმის საბუთათ-კი, რომ კუპრა შოთა რუსთაველის სახელი არ უნდა იყოს, ამას ისიც ემოწმებაო, რომ შოთა რუსთაველის სოფელის მახლობლივ „უმჯობესნი კუპრნი აღმოდიანაო“, განმარტავს თეიმურაზი. და განა არ შეიძლებოდა, რომ ამ მდებარეში აღმომაველი, გინა გამომდინარე კუპრისა გამო შოთასთვისაც კუპრა ეწოდებინათ განმარტაას მეორე. ზემორე ცნობათ გარდა, ჩვენ არ ვიცით, თუ რუსთაველი რომელ წელიწადს მოვიდა საქარველოში, რუსუდანის მეფობის დროს, ან სე-

ქართველოში რამდენს ხანს დარჩა, რა დროს დაბრუნდა მეორედ იერუსალიმში. იმის შესახებ კი, რომ ვითომც „კუპრა შოთა“ ჩვენგან აღნიშნული შოთა რუსთველია, ამას ჩვენ უარს ვუყოფთ, რადგანაც თვით „ქართლის ცხოვრებაც“ არღვევს მას. აქ მხოლოდ იმ პირთა გამო მოვიყვანეთ ეს ცნობები, რომელნიც კი ბორგიჯანიძეს დარწმუნებიან, მაგრამ ჩვენის მოსაზრებით ყველა ესენი შეცდომაში შესულან. მხოლოდ აქ ის არის უნებელი, რომ ყველა იმა მწერალთა ცნობები, რომელნიც კი შოთა კუპრას რუსთაველად მოიხსენიებენ და ერთმანერთში რევენ, დაუბეჭდავნი არიან და მით არც გავრცელებულან. თეიმურაზ ბატონიშვილიც მოგვითხრობს, რომ შოთა რუსთაველი დიდის სიმდიდრით წავიდა საქართველოდამო, სიმდიდრე მონასტერს შესწირა და განაახლაო.

შეკველია, რომ შოთა რუსთველის მეორედ განსვლაზე იქმნებოდა საქართველოდამ ძვირფასის ნივთებს წაღება, რადგანაც რუსუდან დედოფალს დაუახლოვდა და სამეფო საქმეების გამო საბერძნეთიდან დაბრუნდა საქართველოშიო. პირველ წასვლაზე-კი უეკველია, რომ ამას საქართველოდამ დიდს განძეულობას არავინ გაატანდა და რომ არ გაატანდენ ამას შოთა რუსთველის „უზნეო არშიყულს საქციელს, მიაწერდენ“. ეს საგანი აიხსნება ქვემოთ სადაც ჩვენ შევეხებით ზოგიერთ ისეთ კითხვებს, რომელსაც თვით ცნობები ახსნიან უეკვოთ. აი ამით თავდება ცნობები შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ, როგორათაც მისის პირველ ხანებისა, აგრეთვე შემდეგის დროებისა, როგორათაც სამეფო სამსახურში, აგრეთვე სამოქალაქოში.

საქართველოს ძველისა და ახლის დროის მებისტორიენი,

ერთხმად და თანახმად განმარტვენ, რომ თამარ მეფის დროს ქართველ ერს ოქროს დრო დაუდგაო. ეს ის დრო არისო, როდესაც სამეფო ფეხზე იდგაო, თავად აზნაურობა თავისუფლად ჰქმინაედა და თავის სამშობლო გარემო მტერს სულ დღეს უბნელებდაო! ამ მეფის დროს ამაღლდა საქართველო, როგორათაც ციხე კოშკების გამრავლებით, აგრეთვე მონასტრებით, ბერებით, საბერ-მონაზონო მიმართულებით, ჰალატების შენებით და სხვა ამისთანაებითაო. მეისტორიეთ ფიქრით, საქართველოში იმ დროის სიმდიდრეს მარტო ესენი შეადგენენ, და ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, უამისოდ სამეფოს დვარი წალე ამდაო, ამავე მეფის დროს დაწინაურდა საქართველოში სწავლა — განათლება და ყოველ ნაირის კეთილ დღეობისადმი მიდრეკილებითაო. ზოგენი ამსაუ უნეს დიდის ხელოვნებით აღგვიწერენ. მეისტორიენი განკვირვებითა და განცვიფრებით სწერენ ისტორიებს, ესენი გაკვირვებულნი არიან იმ დროის ციხე-კოშკ-ჰალატთა, მონასტერთა და ბერ-მონაზონებთა რიცხვითა, რომელთა სიმრავლეშიაც კავშირი უნდა ჰქონდესო მაშინდელს დაბალი ერის ეკონომიურს და ზნეობითი მხარეებსაცაო. მოთხრობის მწერალნიც აღტაცებულნი არიან, სწერენ იმის შესახებ: თუ იმ დროის სამეფო პირნი რა გულ მოწყალენი არ იყვნენ, რა თანასწორებრივის ჰაზრების მიმომფენელნი, მეფენი დღითა და ღამით უბრალო გლახის ტანთ საცმელს იცომდენ და ღარიბთა, დავრდომილთა და ღატაკთა სულ თავიანთ ხელით ურიგებდენ სარჩო-საბადებელსაო. მართის სიტყვით ყელანი დაქვემდარიტებით სწერენ; მაგრამ, თუ რამდენად შესაწყნარისია ეს ჰაზრი და მართალი, მას დრო და ისტორიული

მასალები აჰხსნიან, როცა მასალები შეიკრიბება და ის ტორიული მწერლობაც სამართლიანს გზაზე იქნება დამყარებული. მოიხსენებენ აგრეთვე, რომ ამავე მეფის დროს გავრცელდა ქართული მწერლობა. მწერლობაში აღმოჩნდნენ მრავალნი შესანიშნავი მწერლები და იმ დროის მწერლებთა შორის ზოგიერთი უნიჭიერესნი პირნიცაა, რომელთაც თავიანთის თხუზულებებით განითქვეს სახელი. მაგალითად:

მოსე ხონელი; ამან დასწერა იგავ სიტყვაობითი არიგინალური ზონამი „ამირან-ღარეჯანიანი“, რომელიც გამოხატულია საქართველოს მეფეთა, მხედართა და ერის ცხოვრების სურათები. მე შემთხვევით ჩამივარდა ამ რომანის ხელთ ნაწერი და როგორც შევატყე, ეს რომანი ერთი საუკეთესო რომანი უნდა იყოს. ამას თვით მოთხრობის შინაარსიც. ამტკიცებს მოქმედ პირთა სახელები ერთობ წაჰგვანან „მეფის ტყაოსანს“ ვინც-კი „ამირან-ღარეჯანიანს“ წაიკითხავს და იმას შემდეგ „მეფის ტყაოსანს“ მაშინ სუ „ამირან-ღარეჯანიანის“ სურათები გაახსენდება. სჩანს რომ ამ რომანს დიდი გავლენა უნდა ჰქონიყოს შოთა რუსთაველზე. ამას ხომ, „მეფის ტყაოსანიც“ ამტკიცებს, სადაც მოხსენებულია, რომ „ამირან-ღარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელს“.

დავით საათაბაგოელი; ამან დასწერა რომანი; „ვისრამიანი“, ამას ამტკიცებს ერთი ძველი კატალოგი, რომელიც ინახება ჩემს ხელში და ამავე კატალოგის ერთმეგზ. ნ. მთვარელშვილს ხელში. იოსელიანის კატალოგშიც ასეა მოხსენებული. ეს დავით საათაბაგოელი სოფელს

დილარგეთი დამ ყოფილა. ეს რომანი ნათარგმნი უნდა იყოს, მაგრამ შიგა და შიგ ისეთი სტრიქონებია გარეული, რომელნიც მის არიგინალობას ამტკიცებენ. ჩვენ მაინც გარდაწყვეტით არ ვიტყვით იმას, რომ ეს თარგმინი არ იყოს. ამას თვით ძველი მწერლებიც ამტკიცებენ. ის ადგილები, რომლებიც მის არიგინალობას შეეხებიან, ის მხოლოდ მთარგმნელის ჰაზრს უნდა ეკუთვნოდეს. როგორცა სჩანს ეს რომანიც შოთა რუსთაველის „მეფხვის ტყაოსანზე“ ადრე უნდა იყოს დაწერილი. ამას შოთა რუსთაველიც ამტკიცებს, რადგანაც იგი მოიხსენებს „მეფხვის ტყაოსანში“, რამდენიმეჯერ.

სარგის თმოგველი, ამან დასწერა რომანი „დილარიანი“, ეს რომანიც იგავ-სიტყვაობითი ყოფილა დაწერილი, შეთანხმებით იმ დროის საქართველოს ერის ცხოვრებისა. მე გამიგონია, ძნელადღა დაიბადოს მისი ანა ლირსებით სავსე რომანი, როგორიც იყო თმოგველის „დილარიანი“. ეს წიგნი მაშინ დელს სამეფო პირთ არად მოსწონებიათ და თითქმის დევნაც დაუწყვიათ. ამ საგანს ჩახრუხაძეც ამტკიცებს რომ „დილარიანმა“ მამარ დედოფალი დიდად აღაშფოთაო. მაგ:— „მოუბარისა, მის მდულარისა, დილარისგან აღაშფოთებულად“. ამ რომანის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სჩანს კი, რომ საქმარისი ლირსების უნდა ყოფილიყოს. ამ წიგნს რუსთაველიც მოიხსენებს: „დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“; ამ რომანის ავტორს დიდი და ბრწყინვალე ადგილი უკავია „ქართლის ცხოვრებაში“. ბაქრაძეს სიტყვით: სარგის თმოგველი თმოგვის ეკლესიაში დასაფლავებული. სარგის თმოგველი მცირე ხანს შემდეგ სხვაც სცხოვრებდა და ამიტომ ამ ორს

პირთ მოქმედებათა ხშირათ ერთმანეთში რევენ. ამას გარდა თვით ჩუბინოვმაც კი ვერ გარკვია და „მისრამიანის დაწერა სარგის თმოგველს მიაწერა. ასევე შეცდომით განმარტა მეუნარგიამ 1881 წ. „დროებაში“ რომ „მისრამიანი“ სარგის თმოგველმა დასწერაო. სარგის თმოგველს რაც დაუწერია ის „მეფხის ტყაოსნიდამა“ სჩანს.

ჩახრუხაძე, ეს ყოფილა მოხვევი, სოფელს ხევიდამა, არაფვის ხეობილამ. ამან დასწერა შესხმით ქება მამარ მეფისა, რომელიც „მეფხის ტყაოსნის“ შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ივანე შავთელი, ერის კაცობასში აბდულ-მესია ერქვა, ამას ცხადათ ამტკიცებს, როგორც ბროსე, აგრეთვე ბაქრაძე, იოსელიანი, ჩუბინოვი, თეიმურაზი და სხვანიც. ამას დაუწერია შესხმით ქება, რომელსაც სახელად „მამრიანი“ უწოდა. „მეფხის ტყაოსნის“ ბოლოდამ სჩანს, რომ შავთელის პოემა „მეფხის ტყაოსანზე“ წინეთ უნდა იყოს დაწერილი, რადგანაც რუსთაველი მოიხსენებს რომ „აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქვს რომელსა“. მსენი იყვნენ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს საერო მწერალნი. სასულიერო მწერალთა რიცხვი ბევრად მეტი იყო საერო მწერლებზე. ამათზე ბევრად მალლა მდგომარე და უნიჭიერესთ მწერლათ შოთა რუსთაველი უნდა ჩაითვალოს, რომელმაც დასწერა ბრწყინვალე წიგნი „მეფხის ტყაოსანი“ და რომელითაც აღიდა ენა ქართული. აქ უაღვილო არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ შოთა რუსთაველი საგან დაწერილის სახალხო „მეფხის ტყაოსნის“ გამოჩენამდე საქართველოში სხვა სახალხო რომანტიული მწერლებიც ყოფილან, როელთაც რუსთაველის კილოთივე

უწერიათ. ამ მწერლებთაგანი ერთი არის ძეგრისელი, რომელიც სცხოვრებდა მეთერთმეტე საუკუნეში, მცირე ხანს ღავით აღმაშენებლის მეფობასაც შეესწერო. ამან დასწერა რამდენიმე პოემა და მოთხრობანი, რომელთა შინაარსის შესახებ ჩვენ არა ვიცითრა. ამ ნაწერებმა ჩვენამდის არ მოახწია და დარჩა მხოლოდ მისგან შემოტანილი ლექსის ზომის წესი, რომელსაც შემდეგ დროის მწერლებმა „ეგრისული“ უწოდეს და დღესაც მრავალს ძველს წიგნებში ვნახავთ ისეთ მარცვლოვანს ლექსებს, რომელთაც სახელათ, „ეგრისული“, ეწოდებათ. მეორე არს მელექსე ძაგნაკორელი, ეს დაბადებულია სოფელს ძაგნაკორაში, იგი სცხოვრებდა ღავით აღმაშენებლის დროს. ამისაგან დაწერილმა ლექსებმა ჩვენამდისაც მოაღწია, მაგრამ ამ ჟამად ესეც იშვიათი საშოვარია. ძაგნაკორელის ლექსების ზომაც მიღებული ექმნა სხვა და სხვა ძველთა მწერალთაგანა და წოდებული: „ძაგნაკორული“, უნდა განვმარტოთ, რომ ამ ორის სახალხო მელექსეების შესახებ საქართველოს მეისტორიენი დაწვრილებით არას გარდმოგვცემენ. რაც შეეხება ამ ორთ მელექსეთ ამბის სინამდვილესა და მწერლობას, ეს-კი ნამდვილია. უეჭველია, რომ ამა მწერალთაგან შემხადებულს ნიადაგს რამე გავლენა ექმნებოდა შოთა რუსთაველის მწერლობაზე და კილოზე. ეს დამტკიცდება მაშინ, როდესაც ეგრისელისა და ძაგნაკორელის ნაწერები აღმოსჩნდებიან და გამოაშკარავდებიან საქვეყნოთ. ცხადი საგანია, რომ ამ მელექსეთაგან დაწერილ ნაწერები და „ვეფხვის ტყაოსანზე“ ბევრად წინად დაწერილი თუ ნათარგმი „ვისრამიანი“ საკმარისად შესწავლილი ექმნებოდა შოთა რუსთაველს. უეჭველია, რომ შოთა რუსთაველისა-



გან დაწერილი „მეფის ტყაოსნისთანა“ შესანიშნვი წიგნის მოვლენა პირველი არ იქმნებოდა საქართველოში და „მეფის ტყაოსნისთანა“ ხელოვნებით სავსე თუ არა, მიმართულებითა და ცხოვრების სურათებთან ბევრად დაახლოვებული და შეთანხმებით მაინც იქმნებოდენ დაწერილნი, ვინემც ბერძნულის საეკლესიო მწერალთაგან აღბორგებულთა და გაფანატიკებულთ ქართველთ საბერო მწერალთა. სანატრელია, რომ ამისთანა ბრწყინვალე კაცისაგან და წერილი წიგნის შესახებ მაინც ვიცოდეთ რამე, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჯერედ დღესაც არ ვიცით სისწორით: თუ შოთა რუსთაველმა რომელ წელიწადს დასწერა „მეფის ტყაოსანი“. ამ საგნის შესახებ არცა რას სხვანი მოგვითხრობენ და თუ სადმე რამ უთქვამთ, ისიც თვით პოემის ცნობათ მეოხებით განუმარტავთ, რომ „მეფის ტყაოსანი“ თამარ მეფის დროს არის დაწერილი. ამ თვალ მარგალიტი წიგნის გამოჩენის პირველ დროის გამოსაცნობად, აგერ ეს რამდენიმე ხანია რაც ყურადღებას ვაპყრობდით და რაც კი შევიძელით შეეკრიბეთ და გავარკვიეთ. იმედია, რომ მე თუ ვერ გავარკვიე ზედ მიწევნით, ამითი შემდეგ მაინც იხელმძღვანლებენ სხვანი და შესაძლებელიც იქმნება, რომ როგორც მე განსაზღვრონ უფრო სიმტკიცით.

შოთა რუსთაველის თანამედროვე მწერალს ივანე (აბდულ მესია, ერის კაცობაში) შავთელს თამარ მეფის შესხმა დაუწერია 1188 წ. ეს რიცხვი აღნიშნულია ძველს ხელს ნაწერს დედანზე. ეს შენიშვნა იოსელიანმა შეცდომით დაბეჭდა შავთელის პირველ გამოცემაზე, სადაც მოხსენებულია: 1192 წ. ეს შეცდომა მეც წამიძღვა მეორე გამოცემაში და ისევე აღვნიშნე. რუსთაველისავე თანამედროვე ჩახრუხადეს პოემა „თა-

მარიანი“ დაუწერია 1195 წ. ეს შენიშვნაც შეცდომით მოხვლია იოსელიანსა? შეცდომა პირველ გამოცემაზედ დაბეჭდილია და მეორეთაც რომ მე გამოვეცი, მაშინაც ისე დავსტოვე. ეს შეცდომები ქართული ქორონიკონის ბრალიაო. რადგანაც 1835 წ. პლატ. იოსელიანს ვერ გაურკვევია ხეივანიანთ ეს შეცდომები. თვით იოსელიანმაც აღიარა 1874 წ. ზედავე ამა წიგნებთა ხელთ ნაწერთ დედნებზე, მაგრამ გვიან.

„ვეფხის ტყაოსნიდამ“ სჩანს, რომ აბდულო მესიას რუსთაველზე წინეთ უნდა დაეწეროს. ამას რუსთაველიც ამტკიცებს, რადგანაც მოიხსენებს „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოში. ჩახრუხაძისაგან დაწერილს „თამარიანის“ შესახებ-კი შოთა რუსთაველი არას ამბობს „ვეფხის ტყაოსანში“. ასე ჩახრუხაძეს რომ „ვეფხის ტყაოსანზე“ წინეთ დაეწერა, მაშინ რუსთაველიც, უეჭველია, რამეს იტყოდა. მაგრამ არა“ ვეფხის ტყაოსანში „სიტყვაც არ არის ნათქვამი. მაშა ხადამე აქ უნდა დაერწმუნდეთ, რომ ჩახრუხაძეს პოემა „ვეფხის ტყაოსნის“ შემდეგ არის ნაწერი. ამას შემდგომ გავარკვევთ.

ჩახრუხაძე „თამარიანის“ ბოლოში მოიხსენებს ისეთ გმირთა სახლებს, რომელნიც დაახლოვებით წაჰგვანან „ვეფხის ტყაოსანს“. მაგალითად თუნდ ბოლოში, აი: „ასე თინათინ, ნუ ის თინათინ არაბეთის იყო სულადიანი, ჯერეთ ყმაწვილი წმინდა ნაწილი, სამოთხის ვარდი პირად მზიანი!“ ამ სტრიქონებში მოხსენებული სახელების მეოხებით მკითხველი ნათლივ მიხვდება, რომ ესენი პირდაპირ „ვეფხის ტყაოსნიდამ“ უნდა იყოს ამოღებული. ამ სტრიქონებიდამ აშკარად მტკიცდება, რომ „ვეფხის ტყაოსნის“

შიბადებით ჩაუტოო ჩახრუხადემ თავის პოემაში და **თამარის** შესახებ ისევ დააბოლოო, რომ მოხვევს ძემა ჩახრუხადემა, აქო **თჰმარ** მეფეო. ბანმარტებით უმატებს, რომ მისი მშვე-  
ნება ბრძენთაც კი გაარეცებსო. მაგრამ **თინათინი** უნდა  
ვაქოვო, რომელიც არის ბაღი წყლიანიო, „ასე **თინათინ**,  
ნუ ის **თინათინ**, არაბეთს იყო სულადიანი, ჯერეთ უმაწვი-  
ლი, წმიდა წაწილი, სამოთხის ვარდი პირად მზიანი“. აშკა-  
რათ სჩანს, რომ ჩახრუხადის **თინათინ**ში **თამარ** მეფე იგულის-  
ხმებ, არაბეთი - საქართველოდ, ჩახრუხადე უმატებს, რომ  
მეც ვაქებო, რომელიც შემდეგს სახელწოდებითაც-კი იქე-  
ბაო. ასე რომ ამ შენიშვნების მეოხებით, ჩვენ უეჭოდ  
გრწმუნდებით, რომ ჩახრუხადის პოემა „**მეფის ტყაოსნის**“  
შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. მაშ რადგანაც ამ ორის  
მწერლის ნაწერებთა დრო აღვნიშნეთ, ახლა რუსთაველის  
შესახებაც მოვისაზრებთ. იოვანე (აბდულ-მესია ერის კა-  
ცობაში) შეეთელს **თამარ** მეფის ქება დაუწერია 1188  
წ. ამ პოემის შემდგომ დაუწერია რუსთაველს. ჩახრუხადეს  
დაუწერია 1195 წ. მაშასადამე „**მეფის ტყაოსნის**“ და-  
წერის დროთ ჩვენ ზედმიწევნით უნდა გვწამდეს ზემორე  
მოხსენებულნი წელნი 1188-დამ-1195 წლამდის ე. ი.  
რვაწლის განმავლობაში უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს  
თავის ბრწყინვალე „**მეფის ტყაოსანი**“. ჩვენ ასე გავარ-  
კვით და ვინც უფრო ზედ მაწევნით შეისწავლის, ის უფრო  
უკეთესი. უნდა ვაღიარო, რომ ეს ცნობები მე დაქვემდარი-  
ტებით არ მომყავს აქ, მე მომყავს მხოლოდ მისთვის, რომ  
მასალათა რიგებში თვალსაჩინოთ იქმნეს და იქმნება შემ-  
დეგ მარცხ გამოარკვიონ. უნდა განვმარტოთ, რომ „**მეფე-**  
**ხის ტყაოსანი**“ ამ თხუთმეტობათა შედევია და შემდეგვე არის

დაწერილი, რომლებიც ზემოაღნიშნულ მოვინსენეთ. მხოლოდ ჩახრუხბადეს პოემად დაწერილი შოთა რუსთაველის „მეფეხის ტყაოსანი“ შემდეგ ზემოთაღნიშნულ განმარტეთ და აქაც ვიტყვი, რომ არა სჩანს ის, თუ როდის აღმოსცენდა ეს უკვდავების იაზმა და ან რამ დაჰბადა რუსთაველში ამისთანა ცხოველი კალამი, მაღალ კილოიანი ჰაზრი, მიმართულება და ენის სიმდიდრე, რომელნიც იმან „მეფეხის ტყაოსანის“ მეოხებით განჰჟანტა და მოჰჟინა მთელს საქართველოში. ზოგი ერთნი უწყიან, რომ შოთა რუსთაველმა „მეფეხის ტყაოსანი“ თამარ მეფის ბრძანებით დასწერა ამის საბუთად თვით რუსთაველის სიტყვები მოჰყავთ, რომელიც სწერს: „მიბრძანეს მათდასაქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა, ბროლ ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა და გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა რბილისა“. მართლაცა და ამ ტავს რომ დაეაკვირდეთ, სწორეთ ისე გამოიხატება, რომ შოთა რუსთაველისთვის კარის კაცთ უნდა ებძანოთ, რომ თამარ მეფეზე ქებით დასწერა რამე და შეამკო. თანხმად რუსთაველის ლექსის „მეფეხის ტყაოსანის“ დაბადებაში იქნება მეფეთა ბრძანებათაც რამე მონაწილეობა და გავლენა ჰქონდეს, მაგრამ არ დავიფიქრებთ იმასაც, რომ ამისთანა კაცზე, როგორიც იყო შოთა რუსთაველი და როგორის ნიჭის პატრონიც, რომ ამისთანა კაცზე სამეფო ბძანებლობას ისეთი ზედ გავლენა ჰქონიყოს, რომ რაცკი დაეწეროს სულ ბრძანებითა და შეკვეთითა. ეს ცხადი საქმეაო, რადგანაცა ზოგი ერთნი იმასაც განმარტვენ, რომ შოთა რუსთაველს თამარ მეფე უყვარდაო, მაშასადამე აქ აღარც ის უნდა იყოს საეჭვო,

რომ რუსთაველს უბრძანებოთაც არ დაეწეროს, ამის საბუთად ისიც ჩაითვლებაო, რადგანაც თვით რუსთაველი ამტკიცებს, რომ მე თამარ მეფე მიყვარსო. მაგალითად „მე რუსთველი ხელობითა, ვიქ საქმესა ამა დარო; ვის მოჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი, დაუძლოური მიჯნურათათვის, კვლავ წამალი არსით არის, და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“.

ამ ტაეზის მეოხებით ზოგნი უეჭვოდ ამტკიცებენ, რომ შოთა რუსთველს „მეფის ტყაოსანი“ უფრო თამარ მეფის სიყვარულის გამო უნდა დაეწეროსო და არა ბრძანებითაო. რუსთველის ლექსის თანხმად რომ გავხედოთ, მაშინ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ შოთა რუსთველისთვის თუნდ რომ არცკი უბრძანებინოთ, რუსთაველი ისეთის სიყვარულით თუკი იყო შეპყრობილი, როგორათაც თავის თავს ხატავს, მაშინ უეჭველია, რომ რუსთაველი თავის ნებითაც დასწერდა „მეფის ტყაოსანს“.

ზოგი ერთნი დამტკიცებით მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთაველმა, როდესაც „მეფის ტყაოსანი“ დასწერა და გაათავაო, გათაევის შემდეგ შეასწორაო, შესწორების შემდეგ სამარყანდულს ქალაღზე გადასწერაო და შემდგომ ამის თამარ მეფეს წარუდგინაო. თამარ მეფემ ისურვა რომ ერთ დღეს სამეფო სახლში მეჯლიში გაემართაო, მიეწვია მაშინდელნი სამეფო წარმომადგენნი და ამ პირთა თანა დასწრებით სადიღზე შოთა რუსთველს უნდა წაეკითხა ხმა მალღივ და იქ მყოფთ უნდა მოესმინათო. ყველა ეს შენიშვნითი ცნობანი ანტონ ფურცელაძისაგან დაწერილს ლეგენდაშიაც არის მიღებული. ამ გარდმოცემითი ცნობათ გარდა ზოგნი იმასაც მოგვითხრობენ, რომ

შოთა რუსთაველი **თამარ** მეფის მომღერლად იყოფო. შოთა რუსთაველმა, როდესაც „ვეფხვის ტყაოსანი“ გაათავა, მის შემდეგ **თამარ** მეფეს წარუდგინა და ერთს სადილზე უნდა წაეკითხა სიმღერითაო. ამ ცნობებს ერთობ ეთანხმება ერთი ზეპირ გარდმოცემითი ცნობაც. ამ შენიშვნებს გარდა ზოგნი იმასაც უწყიან, რომ შოთა რუსთაველი **თამარ** მეფის მესაზანდრედ იყოფო, მაგრამ ეს ყოველად უპატიოსნაა. ზანმარტვენ იმასაც, რომ საზანდრობის გარდა სიმღერაც კარგა იცოდა და ამის გამო მომეტებული ნაწილი სულ „ვეფხვის ტყაოსნის“ ლექსებს მღეროდაო და მიტომაც მოხდაო, რომ ეს წიგნი ასე გავრცელდა საქართველოდს ერშიო. ამ საგნის შესახებ ჩვენ დაწვრილებით არას განვმარტავთ, რადგანაც სინამდვილით არა ვიცითრა. თუ მოვიყვანეთ რამე ცნობები, ესეც მხოლოდ მისთვის, რადგანაც შოთა რუსთაველს შეეხება. მაგრამ ჩვენ, რომ გვკითხოს-კი ვინმემ, ჩვენ-კი ჩვენის მხრით გარდაწყვეტით ვუპასუხებთ, რომ შოთა არც მომღერალად უნდა ყოფილიყოს და არც მესაკრავეთ. შეჭველია, რომ ეს ცნობები შემდეგ უნდა იყოს შედგენილი სხვა და სხვა პირებისაგანა. რაც შეეხება „ვეფხვის ტყაოსნის“ გავრცელებასა და ხალხში მოფენას, ამაზე ჩვენ ვიტყვით იმას, რაც კი შესაძლებელია და რომლითაც შეჭველია ბევრათ თუ არა მცირეთ მაინც იქმნება გამოხატული და განმარტული ის, თუ როგორის სიყვარულით არ ვრცელდებოდა შოთა რუსთაველის ცხოველი სიტყვა.

### III.

საქართველოს ისტორიის ზოგიერთა მწერალნი მოგვი თხრობენ, რომ როცა „ვეფხის ტყაოსანი“ დასწერა შოთა რუსთაველმა და წარადგინა წასაკითხავათ სამეფო დარბაზში, პირველ წაკითხვის დროსვე შოთა რუსთაველმა ისეთის შთაბეჭდილებით წაიკითხაო, რომ მის შემდეგ ყოველი წარმომადგენელი სანატრელად და სანუკად სთვლიდა, რომ იმას „ვეფხის ტყაოსანი“ როგორმე გადაეწერნა და სახლში ჰქონიყო საკითხავათაო. შითქმის ძველადგანვე სულ ზეპირათ სწავლობდენ „ვეფხის ტყაოსანსაო“, ხშირათ ქორწილშიაც კი მოხდებოდაო, რომ ამ ძვირფას ქმნილების ტაეებს ზეპირათ მღერობდენო. ეს ჩვეულება მეცხრამეტე საუკუნემდის თავის მტკიცე კალაპოტში მჯდარა და უკანასკნელს დროს კი ცოტათ შემცირებულა. ძველ დროში გავრცელებულ ჩვეულებათაგანი პ. იოსელიანსაც უნახავს დუშეთის მაზრის გლეხთა ქორწილში. ამ გვართვე განმარტა ბ. ბაქრაძემ და დაუმატა, რომ ოსმალეთის საქართველოში დღესაც კი მრავალთ გათათრებულთ ქართველებმა ზეპირათ იციან, „ვეფხის ტყაოსნის“ სტრიქონები და მრავალთა ბევთა ოჯახში მე თვით მომისმენიაო. ძვირფასი „ვეფხის ტყაოსნის“ სახალხოდ გავრცსლებას მტკიცე ბეჭედს ასომს. კაზიმირ ლობჩინსკიც, ბროსე, ჩუბინოვი, იოსელიანი, ბულაკი, მაისურაძე, სლივიციკი და სხვანიც მრავალნი, ვისაც კი დაუწერია რამე „ვეფხის ტყაოსნის“ და შოთა რუსთაველის შესახებ.

მრთი ძველი მწერალი განმარტავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისე გავრცელდა ძველათა, რომ ყოველი კაცი მის ზეპირათ დასწავლას სცდილობდაო. ძველს დროში იმდენს ქალღმერთს ვერ მოიპოვებდნენ საქართველოშიო, რომ ყოველს კაცს თავისთვის საკუთრათ ჰქონიყო გადაწერილიო. ამიტომ ერთს სახელში შეიკრიბებოდნენ რამდენიმე პირნიო, ერთი რომელიმე მცოდნე პირი დაიწყებდა კითხვასა და სხვანი განიმეორებდნენო, რომ იქვე ზეპირათ შეესწავლათო. ამ გვარი კითხვები და შესწავლა უფრო უქმე დღეობით ხდებოდა და კვირაობითაო, რაისა გამო ბერ-მონაზონებს არ მოსწონდათ ესაო. მამათა სქეს შორის მდებრობით სქესი ცდიდის აღტაცებით იზეპირებდნენ, არამც თუ მარტო რამდენსამე ტაეებეს, არამედ მრთელს წიგნსაცაო. ძველს დროში ისე მოხუცებულს დედაკაც არა ნახავდით, რომ იმას „ვეფხისტყაოსანიდამ“ რამე ლექსები ზეპირათ არ ეთქვასო.

ამ ძვირფასი ქმნილების ღირსებამ იქამდის მიახწია თურმე, ისე გავრცელდა, ხალხმა ისე შეიყვარა შოთა რუსთაველისაგან დაწერილი ხელის-ხელ საგოგმანები სიტყვები და ტურფათ წყობილნი ლექსები, რომ უწარჩინესებულთ პირებში ისე ქალს არ გაათხოვებდნენ თურმე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზითევში არ გაეტანებინათო. ეს ჩვეულება თითქმის ძველის ძველადგანვე გავრცელებულა საქართველოში. ზოგი ერთნი ამ საგანს თვით მეთორმეტე საუკუნესვე მიაწერენ. რომელიმე ოჯახიდან ქალი რომ გათხოვილიყო და იმას მზითევში არ გაჰყოლიყრა „ვეფხისტყაოსანი“, ეს შეურაცხოვა იქმნებოდა მისთვისაო. შოველი ქალი დიდის სიფრთხილით და სიფაქიზით იცავდა ამ წიგნს, ვითარცა იმათ თავში გამოხატულს წმიდა ჯვარსა და სახარებასა.



ერთის სიტყვით მოკლეთ, რომ ვსთქვათ, შოთა რუსთველისაგან დაწერილი „მეფხის-ტყაოსანი“ გახდა საუნჯეთ საქართველოს ერისა და ამიტომ ქართველი ერის მოვალე იყო, რომ როგორც თავის გულის აუნჯე, ისე ეტარებინათ და დაეცვათ. „მეფხის-ტყაოსნის“ გავრცელებამ და გამრავლებამ ბევრ-ნაირათ იმოქმედა ქართველს ხალხსზე და ეს მოქმედება და დატყუება იქიდანვე სჩანს, რომ ქართველთა ღეთის მოყვარე შეფე მახტანგმაც-კი გარდასწყვიტა მისი დაბეჭდვა და გამრავლება, როდესაც სასულიერო წიგნთა გარდა სხვა რამ წიგნის ბეჭვდა არც-კი შეეძლოთ. მართალია გავრცელებით-კი ვრცელდებოდა ეს თვალ-მარგალიტი წიგნი, მაგრამ უნდა განვმარტოთ, რომ ამ წიგნის ასე გავრცელება და სახალხო ქმნილებათ გახდომა ბევრთ არ ექაზნიკებოდათ და ყოველთვის წინაღმდეგ ჰაზრს ქადაგებდნენ. ამ გვარი მოწინაღმდეგეთა დასი თვით შოთა რუსთველის დროიდანვე იწყებს თავის შეცადინეობასა, რომელთა მოქმედება უნდა ჩაითვალოს დასაწყისათ იმ ცუდის შეხედულობაებისა, რომელიც გასტანა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე.

ჩვენ მოვიხსენებთ, რომ შოთა რუსთველს „მეფხის-ტყაოსანი“ დაუწერია თუ არა, შემდეგ ამისა წაუკითხავთ სამეფო პალატში, მის შემდეგ მრავალთ ქართველთ მეღვიქსეთა და მწერალთა ჯაერი მოსვლიათ „მეფხის ტყაოსნის“ ხელოვნებისა გამო და ამიტომ რაღაც ნაირის უკმაყოფილობით და მტერობით აღბორცებულან შოთა რუსთველზე და მის „მეფხის ტყაოსანზეც.“ მიზეზი ამისი უნდა იყოს ის, რომ ყოველთვის და ყოველგან „მეფხის ტყაოსანი“ გახდა სულათა და გულათა ქართველი ერისა და თითქმის

სარკეთ სადაც ხედავდნენ მეგობართა მეგობართათვის თავ-  
გამოდებულთა და ჭირსა შიგან მომხმარებულთა, რომლის  
მსგავს სხვა მწერალთა ნაწერებში ვერას ჰხედავდნენ. ამ  
საგანს ცხადლივ ამტკიცებს მეჩვიდმეტე საუკუნის ერთი მე-  
ლექსეს ლექსი, რომელიც გაბაასებით არის ნაწერი, სა-  
დაც რუსთაველს პირველი ადგილი უკავია.

საერო პირთ მწერალთ მოწინააღმდეგობასა და მტე-  
რობას ბერმონოზონთ წარმომადგენთა უფრო გადა-  
აჭარბეს. ამ მოწინააღმდეგე დასთ გამოჩენა გამოწვე-  
ულჰყო რმან, რომ „მეფხის ტყაოსანს“ თითქმის უქმე-  
დღეებშიაც-კი კითხულობდენ და ზეპირათ სწავლობდენ  
თვით მღვდლებიცაო. ამისთან შეხედულობით თვით იმ  
დროის კათალიკოზიც იყო. კათალიკოზი და ბერ-მონო-  
ზონობა დიდად მტრობდა „მეფხის ტყაოსანის“ მაღალ  
ჰაზრს, მის ფართო მნიშვნელობასა, შეუდარებელს ხელოვ-  
ნებასა და შოთა რუსთველის გენიოსობასა. სიმტყუნეში,  
რომ არ ჩამოგვართოთ, მაშინდელს ბერ მონოზონებს ვონე-  
ბა აქამდისინ არც მიუწვდებოდათ, რომ შეენიშნათ „მე-  
ფხის ტყაოსანისთვის“ თვისი ღირსება და არაფრის წი-  
ნაშე ცდომილება. სამღვდლოებას ამ საქმეში არავითარი  
ბრალი არ ედება. მს ედება მხოლოდ კათოლიკოზთა  
ეპისკოპოსთა და ბერთა. მს პატრივცემული მამანი ისეთის  
სწავლით იყვნენ აღჭურვილნი, ისეთის ოცნებებითა და შე-  
ხედულებითა, რომ საბერძნეთის წმიდა მამათა ქადაგება-  
თა გარდა, სხვა რამ სწავლა და მოქმედება სულ ამაოთ  
მიაჩნდათ, იმათ თავში მარტო ამ გვარს ოცნებასა ჰქონდა  
ადგილი, მარტო ბერძენთა წინააღმდეგთა ცრუ სწავლათა  
და ოცნებათა, რომელიც ნათელს-კი არ ჰფენდა საქართვე-

ლოს ეკკლესიის წარმომადგენთ ჰირთ გონებასა, არამედ ახშობდა, აზნელებდა და ყოველ ნაირს სამოქალაქო მოქმედებათა წინ გზა და ხიდათ ეზიდებოდა. მაშასადამე იმ გვარის განათლებით აღჭურვილი მამანი ძალიან ადვილად შეიძლებდენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ წინაღმდეგ ემოქმედათ. ან რა გასამტყუნო არიან ეს ბერნი და მამანი, როდესაც იმათ საბერძნეთის სასულიერო და მაწხალა ბერმონოზნების სასწავლებლები და სწავლანი ნამდვილ და ჭეშმარიტ განათლებას-კი არ აძლევდა, არამედ ისე განათებასა და ჰაზრთა დამახინჯებასა. არა, რა განათლება უნდა ყოფილიყო ის, რომელიც უჩრევდა ერს ამიერი სოფლის დატოვებას, საუკუნოთ ბერათ შედგომასა და საცაო და აკლდამებში დაყუდებით ცხოვრებასა, სადაც მოიგებდა საუკუნო განსვენებასა. ამიტომაც მოხდა, რომ ამ პირების მეოხებით, მთელის საქართველოს ყმაწვილ-კაცობა სულ ბერათ მიივლტოდა და მრავალნი გამოჩენილნი სარდალნიც კი სტოვებდენ სამეფო სამსახურსა და მიდიოდნენ უდაბნოში ბერათა, იმ დროს, როცა მათის მეოხებით მტერი კარს მოადგებოდა. მეორე შენიშვნა კიდე, რომელიც ამავე საგანს შეეხება: საქართველოს ყმაწვილ-კაცობაში ბერობის სურვილის აღძვრა, თვით ბერ-მონოზონთა მოქმედებას და გავლენას შეეხება. ჭველა ეძაებთან ისიც საყურადღებოა, რომ საქართველოს ყმაწვილ-კაცობის ბედი და იღბალი საქართველოს სამეფო გამგეობის გავლენის ქვეშ იყო და საქართველოს სამეფო გამგეობასაც ძალიან მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბერძნეთის ეკკლესიის წარმომადგენელ პირებთანა. ამ კავშირის საფუძველათ თვით საქართველოს საეკკლესიო მამანიც შთებოდნენ და განსაკუთრებით კათო-

ლიკოსნი, რომელიც თითქმის მიწაზე იყვნენ განრთხმულნი საბერძნეთის ეკლესიისა და პატრიარხთა სიწმიდისა და გვირგვინთა აკლდამებში ლოცვათა-გამო-მართალია საქართველოს და ბერძნეთა შუა ძველადგანვე დამკვიდრდა კავშირი, ცხადია, რომ ეს კავშირი სარწმუნოების შეერთებას უნდა მოჰყოლოდეს, ცხადია ისიც, რომ ქართველ ყმაწვილების გამგზავრება საბერძნეთის სასწავლებლებში ძველადგანვე დაიწყო, მართალია წამსვლელთ რიცხვიც ყოველთვის საკმარისი იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვინც კი აქედან მიდიდა და სწავლობდა იქ, ისა მხოლოდ ბერძონობით წარმომადგენთ პირთ ექვემდებარებოდნენ მათ სწავლათა, მათს მიმართულებათა და არა საბერძნეთის საერო ფილოსოფოსთ მწერალთ სწავლასა, მათს განათლებასა, მათს მწერლობასა და სკოლებსა.

მართალია, შოთა რუსთაველიც ამ გვართ სასულიერო პირთ გავლენის ქვეშ ყოფილა შეფარებული, მათსავე ხელში გაზდილა და გამოწურთვნილა, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ შოთა რუსთაველს კიდევ სხვა ტალი ჰქონდა მოხვედრილი და სხვა მწერლების გავლენა. ჩვენი წმინდა მამათ ბერები დიდად სდევნიდნენ „მეფხის ტყაოსანს“. ამ წიგნის გავრცელებას და ხალხში მოფენას თითქმის ქრისტიანობის დღესაც საშუალებად ჰხადიდნენ და განმარტავდნენ ხოლმე, რომ საქართველოშიაც შემოიპარა ის ცრუ ფილოსოფიური სწავლა, რომელიც საბერძნეთში ძველადგანვე აღორძინდა და რომელიც დღეს საბერძნეთის საეკლესიო და საღვთის-მეტყველო სწავლას ზურგს უქცევნო. ამ გვართ მოქმედთა ბერებ შორის უპირველესი ადგილი იღანე კათალიკოზმა დაიკავა, რომელიც მარ-

ჯენა მხრის პოლიციელით ადგა საქართველოს ეკლესიის აღორძინების საქმეს და მარცხენა მხრით კიდე საბერძნეთის პატრიარხებს ექვემდებარებოდა და პირში შესცქეროდა მათ. ამ პატრევცემულმა და ერთგულმა მამა პირველს ხანშივე აღუდგა წინა შოთა რუსთველს და დაუწყო ძაგება: იოვანე კათოლიკოზის სიტყვის შესახებ და მთლათ მისის ამბოხებისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის მწერალს არსენ ბერს შემდეგი სიტყვები მოჰყავს თავისაგან დაწერილს ისტორიაში: „ოდეს განვრცელდა ღვარძლით საესე წიგნი „მეფხის ტყაოსანი“, ამის გამო შოთა რუსთველი არცხენა იოვანე კათოლიკოზმან. მტერმან იუკადრისა. კათოლიკოსმან არა მიჰხედნა და ზეგარდმო მალლისა ნიჭითა, სიტყვითა წმინდითა და მონებრივითა სამღთოსის ძალით ამხილებდა შოთა რუსთაველს, რათა არ აღმოსცენდნენ მიმბაძენი ლექსისა მის უბოროტესისა და არა დაითესოს და დაიძას თესლი უბოროტესი და გამრყენელი ქრისტიანობისა ამისა.“ ამ სიტყვიდამ ნათლად დაინახავს მკითხველი, როგორათაც იოვანე კათოლიკოზის შეხედულებას, აგრეთვე მის დროის ყველა ბერისასაც. პარგათ მიხედება მკითხველი, რომ ამისთანა სამღვდელოთ მოქმედებათ ხერიანი შედეგი არ მოჰყვებოდა. ღღეს რომ ამ გვარის მაშინდელი ბერების აღწერაებით ფურცლებს აჭრელებენ და მოგვითხრობენ ქებითა, დიდებით და ცაში აყვანით, რომ ეს ისეთი იყოფოს და ეს ასეთიო. აი ასეთები გახლდნენ ის ჩვენი მამინი და ასეთისავე მამულის მოყვარეობით ხელმძღვანელობდნენ. ზოგი ერთი სხოლა პეტები განმარტვენ, რომ ამის მოვალეა სასულტერო პირიო, რომ ისე განსაჯოსო. მაგრამ რომლის თვით გამგეობის

მეოხებით, ვინ ბძანდებოდენ ეს პირები და რა უფლება უნდა ჰქონოდათ მათ ვისმე საერო მწერალზე, ამაზე სიტყვას არ სძრავენ. ჯერეთ პირველს ხანებში, ეს მამანი მხოლოდ სიტყვით სჯიდნენ და არცხვენდნენ შოთა რუსთაველს, მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მით ეს თვალ მარგალიტი მაინც და მაინც იფინებოდა და ვრცელდებოდა. ამ წიგნის ასე გავრცელებამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ მამულის მოყვარეობით აღელვებულ კათოლიკოზი წარსდგამამარ მეფის წინაშე და მოახსენა განრისხებით, რომ „მეფხის ტყაოსანი“ პირდაპირ თქვენზე გახლავთ დაწერილიო, რომელიც გარცხვენთ თქვენა და ქრისტიანობასაც შემუსრამსო. იმის დასამტკიცებლათ, რომ „მეფხის ტყაოსანი“ პირდაპირ თქვენზეა დაწერილი ამის გამო „მეფხის ტყაოსანიდამ“ მოუყვანიათ შემდეგი ტაეპი: „მე რუსთველი ხელობითა ვიქ საქმესა ამაღარი, ვის მოჩჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი, დაუძღურდი მიჯნურთათვის კელავ წამალი არსით არი, და ანუ მომცეს განკურნება, ანუ შიწა მესამარი“.

ბევრის ქადაგებითა, შენიშვნებითა, და შეჩვენებით, კათოლიკოზისა და ბერმონაზონების საქმე იქამდე მივიდა, რომ შოთა რუსთაველი მამარ მეფეს აუძულებია და რამდენიმე ხნის განმავლობაში საქმე ისეთ ნაირათ დახვეწილა, რომ ჩვენი მელექსეობის მამათ მთავარი შოთა რუსთველი გარდაუციათ სამეფო სამართველოში, ანუ როგორც მოიხსენებენ „მდივან-ხანში“. აქ წმიდათა მამათა თავიანთი გაუყვანიათ და განუსჯიათ შოთა რუსთაველი, ამაში თვით მეფესაც მიუღია მონაწილეობა, რადგანაც „მეფხის ტყაოსნის“ დაწერას შეურაცყოფად სთვლიდნენ, და არა პატივით. ამიტომაც მომხდარა, რომ თვით მეფესაც მიჭ-

ლია მონაწილეობა. ან რა გასაკვირველია ეს, როდესაც სასულიერო კანონმდებლობას ისეთი გავლენა ჰქონდა სამეფო კანონმდებლობაზე, რომ არც ერთი სამეფო საქმე არ გადასწყდებოდა ისე, რომ იქ კათალიკოსს თავის დასითურთ მონაწილეობა არ მიეღო და მსჯელობაში სიტყვა არ ეთქვათ.

ბერმონაზნების კანონმდებლობას დაეთანახმა სამეფო კანონმდებლობაცა და ამ ორის შეერთებულის კანონმდებელთა მოქმედებისა და გარდაწყვეტილების ძალით შოთა რუსთაველი განსაჯეს და განასამართლეს, რადგანაც შოთა რუსთაველმა დასწერა წიგნი „მეფხის ტყაოსანი“ რომლითაც მან გამოაცხადა შეურაცყოფა დედოფლისა მამარისაო, დამცირება წმიდისა მართლ-მადიდებრივ ეკლესიისა და გარყენა ჰხალხისაო, რადგანაც ბერებთა ცხოვრებათა მაგიერ სულ „მეფხის ტყაოსანს“ კითხულობენო. ძვირადღირთ ეკლესიაში-კი არაფინ შემოდის და „მეფხის ტყაოსანს“, კი ზევირათ სწავლობენო. ამისა გამო ჩვენ განუწყესეთ, რომ შოთა რუსთაველმა დასტოვოს ამიერ სოფლიური ცხოვრება და წარვიდეს იერუსალიმში, ქართველებისაგან აშენებულს ჯვარის მონასტერში, სადაც დარჩეს სიკვდილამდის და მოიგოს ცხოვრება ორისავე სოფლისაო. მართლაცა და რამდენიმე ხნის შემდეგ რუსთაველს საქართველოდამ წასულს ვხედავთ და ბერათ აღკვეცილსა. აი ამ გვარად წავიდა და დატრიბლდა შოთა რუსთაველის საქმეს ასე უსამართლოდ, უმიზეზოდ და მიუხვედრობით აუტყდნენ ჩვენი მამანი და ბოლოს საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ თავიანთის სიწმიდეთა და სიფაქიზეთა დაცვისა გამო შოთა რუსთაველი იერუსალიმს განაძევეს.

ჩვენ არ ვიცით, თუ რუსთაველი როდის წავიდა იერუსალიმში, არ სჩანს აგრეთვე ყველა ის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც მაშინ რუსთაველს გარს მოადგენ, არ სჩანს აგრეთვე ის, თუ როცა რუსთაველი იერუსალიმში წავიდა, მაშინ „მეფხის ტყაოსანი“ თან წაიღო, თუ არა? არ სჩანს აგრეთვე ის, თუ ეს თვალ მარგალიტი წიგნი როგორ გადარჩა იმ დევნასა და ვაებასა, რომელიც მას უეჭველია დახვდებოდა წინ. ცხადი საქმეა, რომ თუ-კი რუსთაველი განაძევეს ამ წიგნის გამო, შემდეგ მის წიგნსაც გააქრობდნენ, მაგრამ რომელ-ერთში და სად. ის კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვინ იცის ეს წიგნი რა სიჩუმის დაცვითა და მალვით არ ინახებოდა მაშინდელს დროში. მართალია დაცვით-კი დაიცეს, მაგრამ, არც უამისოდ იქმნა დაუსჯელი. ეს თვალ-მარგალიტი წიგნი ყრველთვის იდევნებოდა, ზოგი დედამიწის ზურგზე გაქრობას უქადდა, ზოგი მის მკითხველს საქვეყნოთ შეაჩვენებდა. ზოგნი თავისებურათ გადააკეთებდნენ ხოლმე, ზოგი სტრიქონებს უმატებდა, ზოგი ტაეპსა და ზოგიც რამდენ რამდენიმე ადგილებსა. ბევრჯერ დაამახინჯეს ეს უკვდავი ქმნილება და აურ-დაურიეს. შველაზე მეტი განსაცდელი და შერყევა მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოუვლია, „მეფხის ტყაოსანს“ რადგანაც ამ საუკუნეში ოთხმა კაცმა გადააკეთა თავისებურათ, რომელთა სახელებიც ცნობილია. შემდეგ დროებში სხვებმაც გადააკეთეს, ერთი არის ვინმე ნანუჩა ციციის შვილი და მეორე მთარ ჩოლაყაშვილი. ამათაც იჯერეს გული და დღეს სიცისშვილისაგან გადაკეთებული „მეფხის ტყაოსანი“ მოფენილია მთელს საქართველოში. უეჭველია ამას დრო მოიტანს, გაარჩევენ და „მეფხის ტყაო-



სანს“ აღადგენენ ისე, როგორც უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს.

ზევით მოვიხსენეთ ჩვენ, რომ ბერმონოზობა დიდის ზიზღითა და ეჭვით უცქეროდა როგორათაც „მეფხის ტყაოსანს“, აგრეთვე მის დამწერს შოთა რუსთაველსაც მეთქი. ეს ჭეშმარიტი დამტკიცებაა, ამ გვარს მტერობას შემდეგა და შემდეგ საუკუნოებში უფრო მტკიცე საგანი ეძლეოდა და ვრცელდებოდა უეჭვოთ და უმიზნოთ, მაგალითად, როცა ვახტანგ მეფემ პირველად „მეფხის ტყაოსანის“ ბეჭედა დააწყობინა, იმ დროის კათალიკოზმა მომენტიმ წინაღმდეგი ჰაზრი წარუდგინა თავის ძმას ვახტანგ მეფეს, რომ „მეფხის ტყაოსანის“ ბეჭედა უნდა შეჩერდესო. ეს წიგნი გარყენის ქრისტიანობასაო, დასცემს ზნეობასაო, კაცს გააღაზლანდარაფებს, ეკლესიას წაპილწავს, წამურტლავსო“ და სხვა ამისთანაები. მომენტი კათალიკოზს დაემორჩილნენ თვით საქართველოს მიტროპოლიტიც, არხიეპისკოპოზნი, მთავარ ეპისკოპოზნი, ეპისკოპოზნი და ყველა ესენი შეერთებულის ძალით წინ აღუდგებოდნენ „მეფხის ტყაოსანის“ გავრცელებასა და ბეჭედასა. კათალიკოზი ეკლესიაში ქადაგების დროს საქვეყნოთ შეაჩვენებდა იმ კაცს, ვინც „მეფხის ტყაოსანს“ წაიკითხავდა.

სასულიერო პირთ-განხეთქილებას დაეთანახმა. ვახტანგ მეფე და არწმუნა, რომ „მეფხის ტყაოსანში“ ეკლესიის წინაღმდეგი არაფერიაო. იგი სამლოდ აიხსნებაო. ამიტომ ვახტანგ მეფემ დასწერა ვრცელი ახსნა და ჩაურთო „მეფხის ტყაოსანის“ ბოლოში. ახსნაში ვახტანგი მართლაც რომ სამლოთოთ ჰხსნის და საცა კი არშიყოფნა საუბარი და სხვა ამისთანაებზე, ისინი სულ წმიდანებზეა გადაღებული და

ისე ახსნილი. ამ გვარი ახსნის გამო ბროსე ჰკიცხავს ვახტანგ მეფეს და სწერს, რომ ვახტანგისაგან ამ მეგარი ახსნის დაწერა მეტის მეტი შეუსაბამოა და არა კანონიერიო. თუ დავაკვირდებით ვახტანგ მეფის დროსა და იმ დროის სასულიერო პირთ გავლენას, მაშინ ნათლათ დავრწმუნდებით, რომ ვახტანგ მეფეში ამ გვარი ახსნის დაწერას სრულიად სხვა გარემოება გამოიწვევდა, სხვა შემთხვევებთან და მაშასადამე არც ეს არის გასამტყუნო, რომ ასეთი ახსნა დაუწერია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვერც ამ გვარ ახსნამ იქონია გავლენა და ბერებმა მაინც არ დაიწმინდეს გული, არა და არა! ისინი ისევ თავიანთ გზას ადგნენ და ყოველთვის წინააღმდეგ ჰაზრს ჰქადაგებდნენ. ღომენტის სიკვდილის შემდეგ სხვებმაც გაჰკრეს კლანჭები, სხვათა შორის 1738 წ. ტიმოთე მთავარეპისკოპოზი განემგზავრა რუსეთისკენ, რუსეთიდან დაბრუნებული განემგზავრა ათონის მთაზე, ივერიის მონასტერში, იქიდან ჯვარის მონასტერში და იერუსალიმში, ნახა ჯვარის მონასტერი, ამ მონასტერში ტიმოთე ეპისკოპოზს შოთა რუსთველის სურათიც უნახავს, რაისა გამო კიცხვით მოიხსენებს მას და განმარტავს შემდეგ:

„ძნელად ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეშ სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთ უხუცეს: თვითონაც შიგა ჰხატია მოხუცებული“. შემდეგ თვით ტიმოთევე უმატებს სხოლიოთ: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღთოთ სთარგმნეს ბოროტი ლექსი მისი, აღ-

წერა ქალისა ვისთვისმე თვალი მეღწისა, პირი ბროლისა, ლაჭვი ძოწისა და ამისა გამო დედანი საქართველოსანი ხატათ ხეთის შექმნილსა სახისა წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცვალებულთა თმათა მოიბმენ საბრხეთ სულთა“: ამ შენიშვნაში მოხსენებული რომ არის, „ჩვენთა უმეცართა სამხთოთ სთარგმნესო“, ეს მახტანგ მეფეს შეეხება და მისგან დაწერილს „მეფხის ტყაოსნის“ ახსნასა, ეს მთავარ ეპისკოპოზი ისეთი განათლებულთ დასის წევრი იყო, რომელსაც „მოესმინა კატელორია, დიალექტიკა, კავშირი პროკლე დიოდოროსის, მის ქამისა მეცნიერების წიგნი და აღმოვსებისათვის სიბრძნისა წყარონი“: აი ესეც ჩვენი განსწავლული სიბრძნის წყარო, რომელიც „მეფხის ტყაოსნის“ დამწერის ძეგლებსაც კი არ დააყენებდა საფლავში, რომ საშუალება მისცემოდა და ნება ჰქონიყო.

სწორეთ ასეთისავე ჰაზრისა და შეხედულებისა იყო მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს კათალიკოზი ანტონ მუშაკი, რომელმაც საკმარისად იღვაწა საქართველოს ეკლესიის ბედნიერებისთვის და თითქმის დაუცხრომლად მოღვაწეობდა, რომ როგორმე ფეხზე დაეყენებინა და ამიტომ ყოველწაირს საშუალებას ჰხმარობდა, რომ ეკლესიებისთვის დიდი ძალი ყმა და მამულები შეეწირათ!... ეს ის კათალიკოზია, რომელმაც სთქვა: — „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერა მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“: მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამ სიტყვებებს მთქმელი შოთა რუსთველის სხვა მტრებს ჩამორჩომიყოს. არა, ამან უფრო უარესიც ჩაიდინა და უფრო დიდხანს გადააჭარბა, რომელიც უეჭველია დიდს სამარცხვინოთ დაწ

ჩება მისთვის და მისის ჰატოხსნებისა და მამულის მოყვარეობისათვის. მაგრამ სად, ვის, მიჩვენებთ მამულის მოყვარეობა ქართველ მღვდელ მთავრებში. მართალია თითო-ოროლა მღვდელ მთავრებიც სჩანან თავიანთის მამულის მოყვრეობით. მაგრამ ერთობ შცირე რიცხვია და ამათაც თავ თავის ადვილს დავასახელებთ.

ჩვენი ანტონ მუშაკი ისე აიტყვიცა შოთა რუსთაველზე, ისე აღელდა, რომ თავისაგან შედგენილს „წყობილს სიტყვაობაში“ იამბიკოც მიუძღვნა და შეაჩვენა რომ:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტეკელი სპარსთა ენის,  
თუ-სამ სწადოდა, ღვთის მეტეკელიცა მალად,  
უცხო საკვრტყელ, ჰიიტვიკოს მესტიხე,  
მაგნამ ამოდ, დაშუკა საწყხ-ახს ესე“.

იამბიკოდამ აშკარათ სჩანს, რომ შოთა რუსთაველი მაღალ ნიჭიერი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ ამეოდ დაშერარ, რადგანაც იგი დაყუდებით არ სცხოვრებდა და დღე და ღამე ლოცვა ბობლონით ცრემლს არ ჰღვრიდაო. სპარსულის ენით ლაყობდა და ბილწამდა წმიდა ქრისტიანობის ეკლესიასაო. ამას ჰქადაგებდა დაუცხრომელი ანტონ მუშაკი და ამასვე იმეორებდნენ მის ღროის სასულიერო ბერნი და ეპისკოპოზნი. მაგრამ ანტონ კათალიკოზი არც ამ კიცხვა შეჩვენებას დაჰსჯერდა, მან განიძ-

რახა აღკრძალვა და საქვეყნოთ გამოცხადება, რომ აღარაფერს გაბედოს მისი წაკითხვაო. ოორემ ვისაც მოასწრებდნენ, იმას „მეფხის ტყაოსანსაც“ წაართმევდნენ და შემდეგ სამართალშიაც გარდასცემდნენ. ამ განჩინებაზე და გარდაწყვეტილებზე თვით სამეფო პირნიც დასთანახმდნენ და საქვეყნოთ გამოაცხადეს, მაგრამ ამან ვერ იმოქმედა და ხალხში მაინც ვრცელდებოდა. რაკი შეიტყო ანტონ კათალიკოზმა, რომ მათგან გამოცემული ბძანება ვერ მოქმედებდა, და ხალხში მაინც იფინებოდა იგი, ამის გამო მან განიძრახა, რომ „მეფხის ტყაოსანი“ სრულიად უნდა გაეჭროვო, რომ აღარსად ერთი წიგნეც არ დარჩესო. ამის გამო სამეფო ბრძნება გასცეს, შეაკრებინეს მრავალი ხელთნაწერი „მეფხის ტყაოსანი“, რომელთა შეგროვილში მახტანგ მეფისაგან დაბეჭდილისა უფრო ბევრი ყოფილა და 1768 წ. 23 მაისს სიონის გალავანში დააწვევინეს, ზოგიც ჰალვაბრის ხიდიდამ ტყვარში ჩააყრევინეს. სიონის გალავანში დაწვასა თვით ანტონ კათალიკოზი დაესწრო, თავის დასითურთ, სამეფო პირთ თანადასწრებით. ზოგი ერთნი სხვანაირათ ჰხსნიან: ანტონ კათალიკოზმა მარტოდ დაბეჭდილი „მეფხის ტყაოსანი“ დააწვევინაო და არა ხელთნაწერიოო. მიზეზი ამისი ის არისო, რადგანაც მახტანგის ნაბეჭდი გარყენილიაო. ოორემ ანტონ კათალიკოზისაგან ამ გვარი საქციელი ყოველად შეუძლებელიაო. ამ გვარის შენიშვნებით ჰსურთ, რომ მოაშორონ ურიგობა, მაგრამ ვერა, ამ საგანს ანტონ კათალიკოზი თავის იამბუკოთიც ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი სპარსული ენის მოღეჭსე იყოო და ამეფოდ დაშვრაო. სპარსული სიტყვების ხმარებაზე თუ ვიტყვით რამეს, ეს კი შესაძლებელია, რად-

განაც „ვეფხისტყაოსანში“ ერთი მეოთხედი ნაწილი სპარსულ არაბული სიტყვებია და ამაოდ დაშრომაზე-კი ვერ დავეთანხმებით, რადგანაც იგი განძია ქართველის ერისა და გვაროვნებითი სიმდიდრე. საკურველია ეს, რომ იმისთანა მუშაკმა და განვითარებულმა კათალიკოზმა ეს საქმე მოიმოქმედა, სჩანს, რომ ვერც ანტონ კათალიკოზს გაუგია „ვეფხისტყაოსანის“ მაღალი ღირსება და მნიშვნელობა. აქ საკურველი ის არის, რომ ანტონ კათალიკოზი, იმისთანა შესანიშნავი მწიგნობარი, პირი ვერ მიხვდა „ვეფხისტყაოსანის“ მნიშვნელობას და ისიც ისევე აღმოჩნდა, როგორც სხვა წინანდელი მის მოადგილე კათალიკოზნი. მართის სიტყვით მოკლეთ რომ სთქვათ, ბევრი მტერი ჰყვანდა „ვეფხისტყაოსანსა“ და ხშირად სრულიად გაქრობასაც უქადნენ. მაგრამ ამ ძვირფასმა ქმნილებამ ჩვენამდის მაინც მოახწია, დღეს ეს წიგნი მთელს საქართველოს შვილთ თვალ მარგალიტათ მიაჩნია და ყოველი ქართველი დასტკბება მისის კითხვითა, ის იცავს ამ საყვარელს წიგნს და ამ თვალ მარგალიტის სიმრავლე რომ დიდი იყოს და იეფი, მაშინ ამ წიგნს ყოველი ქართველი უბით ატარებს, ყოველი ქართველი დაიცავს მას ვითარცა თავის საუნჯეს თავის მეტყველებისას, რომელიც მას უჩვეულებრივ აღმოუბრწყინა საქართველოს ტურფა ბუნებაში, მისმა სიმდიდრემ და შოთა რუსთაველის მაღალ ნიჭიერებამა.

მაშ ეჭვი არ უნდა გვექონდეს იმის შესახებ, რომ რუსთაველის დასჯის მიზეზათ უფრო ბერ მონაზონნი არ გამხდარიყვნენ. ამას ცხადათ აქემპარიტებს ზემო მოყვანილი ცნობანი და შეჩვენებანი, რომელნიც განმარტულია ჩვენ

ნის კათალიკოზებისაგან შოთა რუსთაველის წინაღმდეგ. ზოგნი იმასაც განმარტვენ, რომ შოთა რუსთაველის დასჯის საქმე თვით მისის ხელით მოკლული ცოლის დასჯა ითვლებოდა. ეს ჰაზრი ორს ლეგენდაშიაც არის განმარტული და თუ რამდენად სარწმუნოა უნდა იყოს ეს გარდმოცემითი ცნობანი, ამაზე ჩვენ არს ვიტყვით. მოგვითხრობენკი, რომ შოთა რუსთაველმა თავის ცოლი ბილწების გამო მოკლავდა. მის შემდეგ ბერათ შედგაო და წავიდა იერუსალიმშიო. მეორენი განმარტვენ, რომ ცოლის მოკვლის გამო თვით თამარ მეფემ დასაჯა რუსთაველი და იერუსალიმში გააგდო.

შოთა რუსთაველის იეროსალიმში გამგზავრების შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ რუსთაველი მოხუცებაში ბერათ შედგაო, დიდი განძი წაიღო საქართველოდამა და თავის სადგომი ჯვარის მონასტერი განააზღო. სადაც დასაფლავდა სიკვდილის შემდგომო. ამ ცნობას ჩვენ თუ საყურადღებოთ მივიღებთ, მაშინ უნდა უეჭვოთ ვირწმუნოთ ის, რომ შოთა რუსთაველი როდესაც პირველათ წავიდოდა აქედამა, თამარ მეფის დროს, ის აქედამ არა ვითარს განძს არ წაიღებდა. ზორგიჯანის თანხმად კი, თუ თამარ მეფის სიკვდილს შემდეგ რუსუდან დედოფალმა დაიხლოვა და დაიბარა სამეფო საქმეთა გამგეობის გამო, მაშ სჩანს, რომ შოთა რუსთაველი როდესაც მეორედ განემგზავრა ჯვარის მონასტერში, მაშინ წაიღო ყველა ის განძი და ნივთეულება, რომელსაც თეიმურაზი მოგვითხრობს. ეს შესაძლებელიც არის, რადგანაც რუსუდანსა და შოთა რუსთაველს კარგი განწყობილება და კავშირი ექმნებოდათ და რომ რუსუდან დედოფალს შოთა

ბერი ძვირფასის განძეულობით დაესაჩუქრებინა, არც ეს უნდა იყოს საეჭვო. ჩვენ უეჭვოთ გვწამს და ვალიარგებთ, რომ შოთა რუსთაველი რუსუდან დედოფლის მეფობის დროს სამეფო საქმეების გამო თვით მეფის თხოვნით დაბრუნდა საქართველოში და შემდგომ ჩამდენიმე ხნისა მიიქცა მეორედ ისევ იქ, სადაც იყოფებოდა წინეთ და გარდაიცვალა და დასფლავდა ჯვარის მონასტერში, სადაც დასაფლავდა ქართველთა უღამო მხე მნათი და დიდება ივერიის ერისა.

ამ გამოჩენილი მელოქსეობის და პოეზიის მამათ მთავრის სიკვდილის წელნო არა სჩანს და რაც გამორკვეულია და გამოცნობილი ის ჩვენ ზემორე მოვიხსენეთ და განვმარტეთ. იმედია, დრო მოვა როცა ჯეროვანს ყურადღებს მიაპრობენ ამასა და გაარკვევენ იმასაც, თუ რომელს წელიწადს გარდაიცვალა ეს მნათობ ვარსკვლავი და ღირს შესანიშნავი ძეგლი მთელის გვარისა, როგორც „მეფხის ტყაოსნის“ დაწერის შემდეგ, აგრეთვე მის წინაღობების შოთა რუსთაველის მწერლობითი მტკმედებაზე ჩვენ არა ვიცით რა, სხვანიც არასა გარდმოგვცემენ, თუ კიდევ დასწერა სხვა რამეც თუ არა, უეჭველი საქმეა, რომ „მეფხის ტყაოსნის“ დამწერი წინეთაც დასწერდა რამეს, მინამდის განვითარდებოდა, თორემ პირველ დაწერით ასეთი თვალთ საჩინო თხუზულებას ვერ დასწერდა. პრფიტით აგრეთვე ისიც, თუ ამ ბრწყინვალე „მეფხის ტყაოსნით“ გათავდა შოთა რუსთაველის მწერლობა, თუ მის შემდგაც დასწერა რამე, უეჭველია, რომ „მეფხის ტყაოსნის“ დამწერი შემდგაც დასწერდა რამეს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის ბერათ შედგა ჯვარის მონასტერში. უეჭველია,



რომ ამ დროს შოთა რუსთაველი დასწერდა ჩამეს ეს უეჭვოდ უნდა გეწამდეს, რომ მისგან დაწერილებთაგანი ყოველივე ჯვარის მონასტრის „წიგნთ საცავში“ უნდა ყოფილიყოს დაცული, მაგრამ საუბედუროთ ჩვენამდის მხოლოდ ორმა სხვა პატარა იამბიკობმა მოახწიეს.

1, არს „იამბიკო“ რომელიც წარუწერიათ ხახულის ლეთისმშობლის ხატზე. ეს ხატი დღესაც არს და ინახება შუა-მთის მონასტერში. ხატზე წარწერა, შვიდ ტიებათ-განიყოფება. ეს იამბიკო „დაბეჭდილია 1860 წ. გამოცემულს „მეფხის ტყაოსნის“ ბოლოში. სათაურათ შემდეგია მიწერილი: — „იამბიკო“ ესე, თქმული შოთა რუსთაველის მიერ. ზედ წასწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ლეთისმშობლისა“.

2, არს „იამბიკოე“, ეს დაბეჭდილია „ქართლის ცხოვრების“ პირველს წიგნში, თამარ მეფის ისტორიაში. თამარ მეფემ ხალიფაზე რომ გაიმარჯვა, ხახულის ლეთის მშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდა ხუთ ლექსად ჰსთქვა შოთა რუსთაველმან. განმარტავს 1860 წ. დაბეჭდილის „მეფხის ტყაოსნის“ ბოლოში ჩართულის „იამბიკოს“ ზედ წასწერა. ამ იამბიკოს“ დამწერის სახელი „ქართლის ცხოვრებაში“ კი არ არის მოწერილი, რომ შოთა რუსთაველმა დასწერაო. ამის გარკვევა მომავალზეა დამოკიდებული.

3, არს ერთ ტაეპოვანი და თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსი, რომელიც დაბეჭდილია 1860 წ. გამოცემულს „მეფხის ტყაოსნის“ შემუც-ტიტულზე. აი თვით ეს ლექსი:

„ფილოსოფოსნი შემოჭკრბენ, ამაზედ ჭქონოდათ ცილობა,  
ხატონსა კაცსა ასაქმებს, ჭკუა და გამოცდილობა,

ათასად გვარნი დატყასდა, ათი ათასად ზდილობა,  
და თუ კაცი თვითონ არ-ვარც, ცუდია გვარნი შვილობა“

„მეფხის ტყაოსანს“ გარდა აქ მოხსენებული ორი იამბიკონი სჩანს და ერთიც ეს უკანასკნელი პატარა ლექსი. შევ-  
ლა ამაგებს შოთა რუსთაველს მიაწერენ. ამაზე გდაწყვეტით  
არას ვიტყვით, რადგანაც ვინც კი შეჰხვებია ორს ზემოთ  
მოყვანილს იამბიკოებს ყველას შოთა რუსთაველისთვის  
უკუთვნებიათ. უკანასკნელს ლექს-კი, ზოგი ერთნი შო-  
თას არ აკუთვნებენ. ამაზე არც ჩვენ ვიტყვით რამეს და  
მოვიყვანეთ მხოლოდ ზოგიერთა მწერალთა გარდმოცემა-  
თა თანხმად. „მეფხის ტყაოსანის“ წინასიტყვაობაში მოხ-  
სენებულია ერთი ტაეპი, რომი.

„ჩემი აწ სცანიით, უოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია,  
ეს მიჩანს დიდად სასულად, არ თავი გამიქიქია,  
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია,  
და მისი სახელი შეურქვევით ქვემოტე მითქვამს, მიქია“.

ამ ტაეპილამ აშკარათ სჩანსო, რომ შოთა რუსთაველს  
თამარ მეფე წინეთაც უნდა ექოვო, მწერლობით, თუ ისე  
სიტყვიერებით, ამაზე ჩვენ არაფიცით-რა, მხოლოდ ეს ტაე-  
პია გამოსაცნობი და გამოსარკვევი, თუ ამაში რა ჰაზრით  
წარმოსთქვა შოთა რუსთაველმა ის სტრიქონი, რომ „მას  
ვაქებ, ვინცა მიქია“ მეო. ზემოთ მოვიხსენეთ ჩვენ, რომ  
შოთა რუსთაველი ჯვარის მონასტერში სცხროვრებდა მეთ-  
ქი, თუ დასწერდა რამეს უეჭველია, რომ იმავე მონასტრის  
„წიგნთ საცავშიაც“ უნდა დარჩენილიყოსო. ჭეშმარიტათ,  
რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყოს, რადგანაც საქართველოს  
მეისტორიენი ცხადათ მოწვობენ, რომ ჯვარის მონასტერში

ძველადგანვე ღაარსეეს ქართული წიგნებისი „წიგნთ საცავიო“ როდესაც დიდად გაბრწყინდაო. ეს შესაძლებელიც იქმნებოდა, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯვარის მონასტრის „წიგნთ საცავიც“ ისევე იქმნა აოხრებული და გაქურდული, როგორათაც სხვა რამ ქართველთა ძველ-წერილნი. მაგალითად: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყის, როდესაც საქართველო რუსეთს შეუკავშირდა, ამ შეკავშირების ხელ-შეკრულობაში დიდი მონაწილეობა მიიღო თავ. ზიორგი ავალოვმა, რაისა გამო დაჯილდოვებულიც იქმნა რუსეთის მთავრობისაგანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხოვრებით აღორძინებული და მამულისათვის თავ დადებულმა ავალოვმა მოგზაურობაც დაიწყო იერუსალიმისკენ და სხვათა შორის ქართველების ჯვარის მონასტერშიაც წავიდა და ნახა, რომელ ქართველთ მონასტრის „წიგნთ საცავილამ“ ქართული წიგნებიც მოპირა, და დაბრუნების დროს თან წამოიღოვო. პეტერბურგში ჩაიტანა და იქ ფრანცუზებსა და ნემენცებს მიჰყიდა! სხვათა შორის ზიორგი ავალოვისაგან დაყიდული წიგნები ტარასი არხიმანდრიტს უნახავს პეტერბურგში. ხელთ ნაწერები გადაუშინჯავს და ზედ შეუნიშნავს მრავალი შენიშვნები, დამწერთაგან მიწერილნი, რომ ვინც ამ მონასტრის „წიგნთ საცავს“ მოჰპაროს ეს წიგნები და გამოსწიროს იმას ასე მოუვიდეს და ისეო, ამ ამბით გამოცემული ტარასი თავისაგან უმატებს შემდეგ სტრიქონებს:

„ქართველმა თავადიშვილმა ქართულოს მონასტერს ქართული წიგნები მოჰპარა და მოიტანა პეტერბურგში და ნემენცებსა და ფრანცუზებს მიჰყიდა უსვინილისომა“. ეს

შენიშვნა თვით ტარასის ხელით მიწერილი მე. ჩემის თუ-  
ლით ვნახე, ჩემს მოგზაურობის დროს, ძვითაბევის მოწას-  
ტრის „წიგნთ საცავში“, სადაც ცხრა დღეს დავრჩი და ვა-  
დგენდი ძველი წიგნების კატალოგს. იქ მოიპოვება ერთი  
ძველი წიგნი, სადაც შეუანილია ყველა ის შენიშვნები  
და შეწვევებანი, რომლებიც-კი ტარასის უნახავს და გადმოუ-  
წერა თავისთვის. ჩვენ არ ვიცით, თუ როდის მოახდინა ეს  
საზილარი ამბავი და როდის გაქურდა ამ გამოჩენილმა და  
მამულისათვის თავდადებულმა ბიორგი ავალიშვილმა! მაგ-  
რამ ვფიქრობთ, რომ 1803 წ. გვიან აღარ იქმნებოდა.  
არ ვიცით აგრეთვე ის, თუ რა წიგნები იყო ის ნაპარაკი,  
გინ იყიდა, სად წაიღეს და სხვანი!.. არ ვიცით, მაგრამ ეჭვი  
არ უნდა გვქონდეს იმის შესახებ, რომ ის ხელთნაწერი  
წიგნები სულ უმნიშვნელონი ყოფილიყვნენ და უსარგებ-  
ლონი. მინ იცის, იქნება თვით რუსთველის ნაწერიც იყო  
რამე, მაგრამ ჩვენ ამაზე არავიცითრა. შესაძლებელი საქ-  
მეა, რომ რუსთაველის შესახებ რამე ცნობები მაინც იქ-  
ნებოდა იქ წარწერილები. ამ საზილარი საქმის ჩამდენმა  
და მუხანათმა თავადის შვილმა ბიორგი ავალიშვილმა თავის  
მოგზაურობაც ასწერა, რომელიც დაცულია წერა კითხვის  
„წიგნთ საცავში“: მე მეგონა, რომ ამ „მოგზაურობაში“ რამე  
ცნობები მაინც იქმნებოდა ჯვარის მონასტრის შესახებ, მაგ-  
რამ, იქ არაფერი აღმოჩნდა რევირედენის ცნობების. სადაც-  
კი შეიძლებოდა ცნობები ყოფილიყოს რამე რუსთველის  
შესახებ, იმ გვარს შესანიშნავს აღვილათაც ისეთი პირი  
მოხვდა, რომელმაც სრულიად ააოხრა და იქიდან მოპარული  
წიგნები დაკარგა სამუდამოთ! იქმნება იქ არცკი რამე იყო  
შოთა რუსთველის შესახებ, როცა ბიორგი ავალიშვილმა გა-

ქურდა, მაგრამ ჩვენ რაეჭყოთ, როდესაც ამაზე ჩვენ არა ვიცითრა. ზიორგი ავლოვი-კი მუხანათათა და უსვინილისოთ რჩება, არამც თუ მარტო ჩვენს წინ შე, არამედ მთელის გვარისა და შთამომავლობისა, რადგანაც ეს უბედურება პირდაპირ შოთა რუსთველს ცხოვრების და მწერლობის ცნობებს შეეხება. ასე ჰყიდნენ ჩვენი მამულის მამანი თავიანთ წინაპარეს. ეს ის ზიორგი ავლოვია, რომლის მახინჯი წიგნი „ხმა ცოდვილისა“ ილ. მყონიამ გამოცა! გამოცემა არ იკმარა და ზედ წინასიტყვაობაც დაურთა, რომელშიაც იოტის ოდენი ჭეშმარიტი არაფერია, გარდა ჩვეულებრივის სიმტყუნისა, სიცრუისა და საზოგადოების დაბრმავებისა. მაი ჰკუავ! ვაი ფულებო და ვაი ტვინის ჩარხებო! მაგრამ, უფრო ვაი იმათ, ვინც იმ სიბრძნეს წაიკითხვენ და გონებას დაიბნელებენ. აი ასე ანიაგებდენ და ჰყიდნენ ჩვენი მამულის მამანი თავიანთ წინაპართა გონებითი ნაწარმოებსა. მათავებ აქ შოთა რუსთველის ცხოვრების და მწერლობის შესახებ საუბარსა და გადავდივარ „მეფხის ტყაოსნის“ ბიბლიოგრაფიულს შენიშენებზე.

„მეფხის ტყაოსანი“ პირველად მატანგ მეფემ დაბეჭდა 1712 წ. ქ. თბილისში. ეს გამოცემა ძალიან იშვიათია. მთელს საქართველოში მხოლოდ ორი ეგზემპლიარია დაცული და ერთი თუ ორიც რუსეთში. ამ დაბეჭდილი „მეფხის ტყაოსნის“ ასეთი იშვიათობის მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ანტონ ძათალიკოზმა უმეტესი ნაწილი ვახტანგ მეფისაგან აღბეჭდილის „მეფხის ტყაოსნისა“ დააწვევინა. ამ გამოცემაზე დიდი შრომა დაუძს ვახტანგ მეფეს. რადგანაც „მეფხის ტყაოსანი“ გარყენილი იყო სხვა და სხვა მელექსეთაგანო, მე შევასწორე და მრავლითა კირითა და

საფასითა დაბეჭდვით, განმარტავს ვახტანგ მეფე. წიგნი დაბეჭდილია სქელს ქალაქდზე, სხვილის მხედრულის ასოებითა, რომელ ასოთა ზომა ახლანდელს მეთოთხმეტე ნომრის ასოებს შეედრება (КБНБ № 14).

წიგნის მეორე გვერდზე დახატულია ბაგრატიანთ გვირგვინი და ლეონ ირანთა მსაჯულის სურათი, ლეონი ოქროს სკამზე ზის, ხელში ჯვრიანი ყვარჯენი უკავია. ბროსეს ეს სურათი ვახტანგ მეფის თუ ბიორგი XI სურათათ ჰგონია. წიგნის ბოლოში მოხსენებულია ის, თუ ვახტანგ მეფემ როგორ დაიბარა ვალახიილამ მესტამბენი. მესტამბეთა მოხსენებაც ჩართულია შიგ. ძვირფასია ამ გამოცემის მოპოება, რადგანაც მასში ბევრი ისეთი რამ არის დაბეჭდილი, რომელიც ვახტანგ მეფის კალამს ეკუთვნის. ვახტანგ მეფის გამოცემული „მეფხის ტყაოსანი“ სულ 1584 ტაეპისაგან შესდგება.

მეორედ გამოსცეს 1841 წ. პეტერბურგში, ბროსემ, ჩუბინოვმა და შალაევანდოვმა. ბამოცემა შესწორებულია ვახტანგ მეფის გამოცემასთანა და სხვა და სხვა ხელთნაწერ „მეფხის ტყაოსნებზე“ რომელნიც ზოგიერთნი დაბეჭდილზე ბევრად წინ ყოფილან დაწერილნი. მეორე გამოცემა შეიცავს 1600 ტაეპს. მეს „ვახტანგის გამოცემა. აშკარათ სჩანს, რომ მეორე გამოცემაში 24 ტაეპი მეტია პირველზე, ამას თვით გამომცემელნიც მოგვითხრობენ და უწყიან, რომ ეს ტაეპები ჩვენ იმიტომ ჩაუმატეთო, რადგანაც მრავალთ ხელთნაწერებში აღმოსჩნდნენო. მეორეც მრავალთა განსწავლულთა ქართველთა და „მეფხის ტყაოსნის“ ხელის მომწერთაც გვთხოვეს, რომ „მეფხის ტყაოსანში“ დაგვებეჭდნაო, რადგანაც ყველას მოსწონდაო. ჩამატებულია 24 ტაეპი და

მიწერილი აქვს ზემოაღნიშნულს. იმის შესახებ-კი თუ მართლა ეს სტრიქონებიც შოთა რუსთაველს ეკუთვნის თუ არა, ამაზე ჩვენ არა ვიცით და არცარას სხვები მოგვითხრობენ. ამგვარ ჩამატება — დაკლებას ჩვენმა ოფიციალურმა აკადემიკებმა სხვების არჩიეს.

მესამე გამოცემა 1846 წ. მარტოთ ჩუბინოვს ეკუთვნის. დასაწყისში პირველი თავი „მეფის ტყაოსნისა“ დამატებით რუსულად არის ჩართული. რაიცა შეეხება გამოცემას, ვერც ეს გამოცემაა ხეირიანი.

მეოთხე გამოცემა 1860 წ. იქმნა პეტერბურგს. გამოცემულია საკუთრივ ჩუბინოვისაგან. ეს გამოცემა ბევრათ უცნობია სხვა წინანდელ გამოცემებთანა. სუუთადა არის დაბეჭდილი თეთრ ქაღალდზე, შეცდომებიც ცოტაა, გრამმატიკული ნიშნებიც გაცილებით კანონიერათ არის ნახმარი. ბოლოში ჩართულია ვრცელი ლექსიკონი „მეფის ტყაოსნისა“ ახსნა უფალს ჩუბინოვს ეკუთვნის. მეოთხე გამოცემის „მეფის ტყაოსანი“ შესდგება 1523 ტაევისაგან. პეტერბურგში წინანდელ გამოცემებთან შვად ტაეზ ნაკლებ. მახტანგ მევუს გამოცემულთან რ ტაეზით მეტსა. ამავე გამოცემაში ჩართულია ორი იამბიკო და ერთეც ერთ ტაეზოვანი ლექსი „მეფის ტყაოსანის“ ეპიგრამათ არის მიწერილი.

მეხუთე გამოცემა 1867 წ. იქმნა ქ. თბილისში. გამოცემლის სახელი და გვარი არა წერია გამოცემას, მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ ეს გამოცემა მაშინდელს გაზეთი „ღროების რედაქტორს უფ. ბიორგი წერეთელს ეკუთვნის“. ეს გამოცემა გადმობეჭდილია 1860 წლის გამოცემულიდან. ბოლოში ახსნაც აქვს ჩართული.

მეექვსე გამოცემა 1875 წ. იქმნა ქ. თბილისში. გამოცემა ეკუთვნის უფალ პრსენ ძალანდაძეს და ამხანაგობას. ამ გამოცემაში მრავალთა მიიღეს დაახლოებითი მონაწილეობა და სკდილობდნენ, რაიც შესაძლებელი იქმნებოდა, რომ ყველა წინანდელ გამოცემაებთან დიდის სიფთხილით და საფუძვლიანთ შეესწორებინათ და უფრო ისე დაეცათ, როგორათაც შოთა რუსთაველს უნდა დაეწერა. ამ გამოცემის დროს ვახტანგ მეფის გამოცემაც იყო მოპოვებულ. შესწორებაში დაახლოებით მიიღო შრომა გურ. „კრებულის“ რედაქტორათ ყოფილმა უფ. ძირილე ლორთქიფანიძემ. უნდა ვალვიაროთ, რომ ეს გამოცემა სხვა ყველა წინანდელ გამოცემაებთან შედარებით ბევრათ შესწორებულია და შეუცდომლათ არის დაბეჭდილი. ამგვარს შემუშავებულის გამოცემის მადლობა უფ. ძირილე ლორთქიფანიძეს უნდა მივაგოთ, რადგანაც მან უსასყიდლოთ იშრომა და მისი ნაცად ნამუშავარზი დღესაც სჯმაგალითათა ყველა გამოცემაებში.

მეშვიდე გამოცემა იქმნა ქალაქ შუთაჰს 1883 წ. გამოცემულია მესტამბე პეტრე წულუკიძისაგან. გამოცემა არ არის ისე თვალ საჩინო, და მეორეც გამოცემა ახალი ასოებით არის დაბეჭდილი და კოტა არ იყოს, შეუჩვეველ თვალს ეძწელება კითხვა.

მსგ მარგალიტი თხზულება არც უცხოელებისაგან და რჩა უყურადღებოთ. შრანციზულ ენაზე გადასთარგმნა საქართველოს ისტორიის მწერალმა მარი ბროსემ.

რუსულ ენაზე გადასთარგმნა უფ. ღვით ჩუბინოვმა მხოლოდ ერთითაფი. მს ჯერეთ კუკოლნიკის გაზეთში დაბეჭდა და შემდეგ ნიმუშად 1854 წ. გამოცემულს ქართულს „მეტხის ტყაღასის“ გამოცემაში.



სომხურს ენაზე გადასთარგმნა უფ. ლოკტ. ბასტამოე-  
მა. თარგმანი რვა მარცვლოვანი ლექსით არის ნაწერი.  
დაბეჭდილია 1863 წ. სომხურს ჟურნალს „ქრუნკში“.  
სრულად არ არის ნათარგმნი. ამავე ბასტამოემა გადას-  
თარგმა შავთელის პოემა.

პოლშურს ენაზე გადასთარგმნა უფალ ქაზიმირ ლოფჩინ-  
სკიმ, ქართველის მწერალის ბიორგი შრისტვის ხელმძღვანე-  
ლობით. ქაზმირ ლოფჩინსკი დიდათ აქებს და აღიღებს „ვეუ-  
ფნის ტყაოსანსა“ და ერთს ალავას სწერს: „რუსთაველი არის  
ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს იმის ჩინებული პოემა“.  
პოლშურს გამოცემას ვრცელი ისტორიული წინასიტყვაობა  
აქვს. შიგა და შიგ რაოდენიმე ისტორიული შეცდომე  
ბიც მოიპოება. წინასიტყვაობის ბოლოს ასე ათავენს: „რ-  
ა ვრჩები წინასიტყვაობას ახლა შეუღება თვით ამ პოემას. ასე:  
რ გთარგმნი პოლშურს ენაზე ჩემო „ვეფხის ტყაოსანო“ ჩემო  
ნუგეშის მცემელო, გაზოდიკებულო, გამოდი ქვეყანაში!  
მე დადად მსურს, რომ რამდენიმე მსურვალე გუფი პოლი-  
კისა შეაწყაო და შეაყვარო საქართველო“.

ბერძნულს ენაზე გადასთარგმნა თეიმურაზ მეფემ  
XVII საუკუნეში. თარგმანმა ვერ მოაწია ჩვენამდის. თარ-  
გმნის შესახებ თვით თეიმურაზ მეფეც ამტკიცებს, ამავე მე-  
ფეს სურვებია, რომ „ილიადა“ ეთარგმნა. ლაუწყია კი-  
დეც, მაგრამ ვერ შეუსრულებია. შემდეგ სხვამ სთარგმნა.  
ამასაც თეიმურაზ მეფე ამტკიცებს. „ილიადა“ ამ საუკუნის  
დასაწყის სხვა ბატონიშვილს გადმოუღია.

სპარსულს ენაზე გადასთარგმნიათ მეთვარამეტე სა-  
უკუნეში, ასე 1725 წლებში, სპარსეთში მყოფ ქართველ  
პატრიოტებს, რომელნიც ყენს ახლდენ კარზე და სპარსული,  
პრაბული და სხვა ენები კარგათ იცოდნენ.

თარგმნა თვით სპარსეთის ყვინს მოუსურვებია, რადგანაც იმ დროს სპარსეთში საკმარისად გავრცელებულა მანტანგ მეფისაგან დაბეჭდილი „მეფის ტყაოსნის“ ეგზეგზიკლიარები. თარგმნის შესახებ ჩვენ არა ვიცითრა, თუ ვინ სთარგმნა? რამდენიმე პირმა ერთად, თუ ერთმა რომელიმემ. სპარსულ ენაზე თარგმანს ცხადთ ამტკიცებს ერთი ძველი მაშინდელი წერილი:

1849 წ. ზრ. წინამძღვაროვმა გადასთარგმნა რუსულათ, მაგრამ პროზათ და წარადგინა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელს წლებში რუსის მწერალმა და პოეტმა მიხაილოვსკიმაც ისურვა რუსულათ გადასთარგმნა, ამაზე ნიკოლაძემაც მოიწერა წერილი პეტერბურგადამ, რომ იქნება პროზათ სთარგმნათ და გადმოსცეთო, მაგრამ საქმე ვერა იქმნა 1840 წლებში. მქროპირ ბატონი-შვილმა, „მეფის ტყაოსანი“ ტრაგედიათ გადააკეთა და 1851 წ. მოსკოვში ცალკე წიგნათაც გამოსცა. ამას გარდა მ. ბიორგი შრისთავსაც გადაუეთებია სასცენოთ, მაგრამ ეს ვერ ენახეთ. შოთა რუსთაველის ცხოვრების აღწერაში ერთობ დაახლოვებული კავშირი უნდა ჰქონდეს შოთა რუსთაველის სურათის ისტორიასა და უნდა ვიცოდეთ ისიც, თუ ახლანდელს გავრცელებულს სურათს შოთა რუსთაველის სახის ნიშან წყალი სცხია თუ არა, დაცულია ამ სურათში შოთა რუსთაველის სახის მსგავსება თუ არა?

შოთა რუსთაველის სურათის შესახებ თიმოთე მთავარეპისკოპოზი მოგვითხრობს, რომ იერუსალიმში ქართველების ჯვარის მონასტრის ერთს სვეტზე ხატავ მოხუცებულიო. რა გვარის ტანთ საცმლით არის დახატული, ერის ტანთ საცმელით, თუ ბერის ამაზე იმას არათფერი აქვს.

ტიმოთე მთავარეპისკოპოსის ცნობებიდანვე უხელომღვან-  
ლია თეიმურაზ ბატონისშვილს და ესეც ისევე განმარტავს.  
მნახოთ საგარელო რას აღმოაჩენს. ამ პატივცემულმა პრო-  
ფესორმა 1883 წელს იმოგზაურა იერუსალიმისკენ და  
ამავე წლის „ღროების“ ნომერში წერილიც იყო დაბეჭდილი,  
რომ უფალს საგარელოს ჯვარის მონასტერში შოთა რუსთ-  
თველის სურათი უნახავს და გარდმოუღია კიდევცა, რო-  
მელიც თან წამოიღოვო.

ჩვენის პოეტის მახტანგ მრბელიანის დედას მეფე  
ირაკლი II რის ქალს, თეკლე ბატონისშვილის ჰქონია  
ერთი ძველი ხელთ-ნაწერი „მეფის ტყაოსანი“ რომ-  
ლის დასაწყისში ჩართული და დახატული ყოფილა შო-  
თა რუსთველის სურათი. ეს „მეფის ტყაოსანი“ პორტ-  
რეტიტურთ პ. იოსელიანს გორონცოვისთვის წარუდგენია.  
გორონცოვსაც ეს სურათი ერთის ფრანკუზის მოგზაურის  
ძღუერისთვის გარდაუცია, რომ იმას თან წაეღო საფრან-  
გეთში და იქ დაებეჭდა. ძღუერი მოგზაურობდა საქართვე-  
ლოში და მოგზაურობის შემდეგ დაბრუნებულა პარიჟში,  
თან წაუღია სურათი და იქ დაუბეჭდაც. შემდეგ მას, სა-  
ქართველოში გამოუგზავნია რამდენიმე. ამ სურათებისა  
დღესაც მოაპოვება რუსთაველი დახატულია ყიზილბაშურის  
ტანთსაცმლით, მჯდომარე, მუხლზე „მეფის ტყაოსანი“  
უძევს, ხელში კალამი უჭირავს და ამ სტრიქონებს სწერს:  
„ესე ანბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ შერა-  
დის წამლით არის დახატული, შოთა რუსთაველს მეტის  
მეტი მკრთალი და ნაზი სახის შეჩვეულება აქვს.

894.63.09  
ქ 551

# ბ. მარკვიანი

ქართული წიგნის ძალაშიაში

ისუილება

უფელ-გვარი ქართული წიგნები.

ვლით 30 წ. (იხილეთ  
ყველა)  
მეტი

ლორთ-მელიქოვის ქუჩაზე მესაიევის შენობაში.